ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მშვიდობა სჭირდება, როგორც ჰაერი და წყალი

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №164 (710) ხუთშაბათი, 29 ივლისი, 1993 წელი ფასი 25 კუპონი

შეთანხმება

აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვისადმი კონტროლის მექანიზმის შესახებ

კონფლიქტის მონაწილე მხარეთა წარმომადგენლებმა რუსეთის შუამავლობით შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. კონფლიქტის მონაწილე მხარეები 1993 წლის 28 ივლისის 12.00 საათიდან უბრუნდებიან ამა წლის 20 მაისს დადგენილ კონფლიქტის ზონაში ცეცხლის შეწყვეტისა და ერთმანეთის წინააღმდეგ ძალის გამოუყენებლობის მკაცრად დაცვის რეჟიმს.

იკრძალება ავიაციის, არტილერიის, მცურავი საშუალებების, ყოველგვარი სამხედრო ტექნიკისა და იარაღის გამოყენება.

კონფლიქტის ზონაში (აფხაზეთის ტერიტორიაზე) არ შევლენ დამატებითი ჯარები და სხვა შეიარაღებული ფორმირებანი, არ განხორციელდება მობილიზაცია, ჯარებისა და სხვა ფორმირებების შეუთანხმებელი გადაადგილებანი, იარაღისა და ტყვია-წამლის შეტანა, სამხედრო ინფრასტრუქტურის ობიექტების აგება.

2. 1993 წლის 29 ივლისიდან ფუნქციონირებას იწყებს ქართულ-აფხაზურ-რუსული დროებითი საკონტროლო ჯგუფები (8-9 კაცის ოდენობით), რომელთა პერსონალურ შემადგენლობას შეათანხმებენ მხარეები.

დროებითი საკონტროლო ჯგუფები მეთვალყურეობას გაუწევენ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დაცვას. ისინი განლაგდებიან სოხუმში, გულრიფშში, ოჩამჩირეში, გუდაუთაში, ახალ ათონში, ტყვარჩელში, გაგრაში, გალში. თუ საჭირო იქნება ასეთი ჯგუფები მხარეთა შეთანხმებით განლაგდება სხვა პუნქტებშიც. საკონტროლო ჯგუფებს უფლება აქვთ შევიდნენ მათთვის საინტერესო კონფლიქტის ნებისმიერ წერტილში მას შემდეგ, რაც შესაბამისად ამას აცნობებენ მხარეებს. კონფლიქტის მონაწილე მხარეები უზრუნველყოფენ საკონტროლო ჯგუფების უსაფრთხოებას, ქმნიან მათი ცხოვრების პირობებს, აძლევენ გადაადგილების საშუალებებს.

საკონტროლო ჯგუფებს შეუძლიათ განიხილონ მოსახლეობის მიმართვები სხვადასხვა საკითხებზე.

საერთაშორისო მეთვალყურეთა ჩამოსვლის შემდეგ დროებითი საკონტროლო პუნქტები მათთან მჭიდრო კონტაქტს ამყარებენ.

3. კონფლიქტის მონაწილე თითოეული მხარე ვალდებულებას კისრულობს განახორციელოს საკონტროლო ჯგუფების მიერ დაფიქსირებული მისი ფორმირებების მიერ დაშვებული ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის ნებისმიერი დარღვევის დაუყოვნებელი, ეფექტიანი ღონისძიებანი, ოპერატიული რეაგირება მოახდინოს საკონტროლო ჯგუფების რეკომენდაციებსა და წინადადებებზე.

კონფლიქტის მონაწილე მხარეთა ამ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევები უნდა ეცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირს.

4. 1993 წლის 5 აგვისტომდე იქმნება აფხაზეთში ვითარების მოწესრიგების გაერთიანებული კომისია. დებულებას მის შესახებ ამტკიცებენ მხარეები. კომისიის მუშაობაში მონაწილეობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წარმომადგენლები და მეთვალყურენი მათი შეთანხმებით.

5. მხარეებს საჭიროდ მიაჩნიათ კონფლიქტის ზონაში მიიწვიონ და გამოიყენონ საერთაშორისო მეთვალყურენი და სამშვიდობო ძალები. ამასთან მხედველობაშია, რომ საერთაშორისო სამშვიდობო ძალების რიცხვი და შემადგენლობა განისაზღვრება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან და უშიშროების საბჭოსთან კონსულტაციების შემდეგ, თუ მხარეთა თანხმობა იქნება.

6. იწყება კონფლიქტის ზონის ეტაპობრივი დემილიტარიზაცია.

კონფლიქტის ზონაში დაუყოვნებლივ შედიან საერთაშორისო მეთვალყურენი და ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ 10-15 დღის განმავლობაში აფხაზეთის ტერიტორიიდან გავლენ საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ფორმირებები.

ამავე ვადებში უნდა დაიშალოს და აფხაზეთიდან გამოვიდნენ კონფლიქტის ზონაში მყოფი შეიარაღებული ფორმირებები, ჯგუფები და პირები.

მაგისტრალური გზების, მნიშვნელოვანი ობიექტების დასაცავად 1992 წლის 3 სექტემბრის მოსკოვის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტის შესაბამისად კონფლიქტის ზონაში ადგილობრივი მოსახლეობისაგან იქმნება საქართველოს მხარის შინაგანი ჯარების ნაწილი, რომელიც ყაზარმულ მდგომარეობაში იქნება. შემდეგ ეს ქვეგანაყოფი შინაგანი ჯარების აღნიშნულ პოლკთან ერთად შევა აფხაზეთის პოლინაციონალური შინაგანი ჯარების შემადგენლობაში.

აფხაზეთის მხარის შეიარაღებული ფორმირებები შევლენ შინაგანი ჯარების პოლკში, რომელიც გადადის ყაზარმულ მდგომარეობაზე და შეასრულებს ვითარების სრული მასშტაბით მოწესრიგებამდე შინაგანი ჯარებისათვის დამახასიათებელ ფუნქციებს (მაგისტრალური გზების, მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვა).

ყველა აღნიშნული მოქმედება ხორციელდება გაერთიანებული კომისიის მეთვალყურეობით.

მდინარეებზე გუმისთაზე, ფსოუსა და ენგურზე დგებიან საერთაშორისო მეთვალყურენი.

ცეცხლის შეწყვეტისთანავე საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად კონფლიქტის ზონაში იქმნება პოლინაციონალური მილიცია, რომლის შემადგენლობას, რიცხვს განსაზღვრავენ მხარეები.

ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმისა და მართლწესრიგის დასაცავად გამოყენებული იქნება საერთაშორისო სამშვიდობო ძალეში, აგრეთვე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან კონსულტაციით, კონფლიქტის ზონაში დროებით განლაგებული რუსეთის საჯარისო კონტინგენტი.

კონფლიქტის მონაწილე მხარეები უზრუნველყოფენ მრავალეროვანი მოსახლეობის უფლებათა დაცვას.

განხორციელდება მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში ლტოლვილთა დაბრუნების, მათთვის დახმარების გაწევის ღონისძიებანი. ლტოლვილთა პრობლემასთან დაკავშირებული ამოცანების ოპერატიული გადაწყვეტისათვის გაერთიანებული კომისია ქმნის სპეციალურ ჯგუფს.

7. აფხაზეთის ტერიტორიაზე დროებით მყოფი რუსეთის ჯარები იცავენ მკაცრ ნეიტრალიტეტს.

რუსეთის ფედერაციის საჯარისო ფორმირებებისა და სასაზღვრო ჯარების დროებითი ყოფნის სტატუსს, ფუნქციონირების პირობებს, გაყვანის ვადებსა და წესს განსაზღვრავენ ცალკეული სახელშეკრულებო დოკუმენტები.

მხარეები უზრუნველყოფენ რუსეთის სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახების წევრთა უსაფრთხოებას.

8. 1992 წლის 3 სექტემბრის მოსკოვის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტის შესაბამისად მხარეები შექმნიან აფხაზეთში ხელისუფლების კანონიერი ორგანოების ნორმალური საქმიანობის განახლების პირობებს.

9. კონფლიქტის მონაწილე მხარეები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდითა და რუსეთის ხელშეწყობით გადაუდებლად განაგრძობენ მოლაპარაკებებს აფხაზეთში კონფლიქტის სრული მასშტაბით მოწესრიგების შესახებ შეთანხმების მოსამზადებლად.

შეთანხმებაში აისახება მშვიდობის დაცვის, კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციის, საერთაშორისო სამშვიდობო ძალების გამოყენების, ეკონომიკური ცხოვრების მოგვარების, მართლწესრიგის დაცვის, მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩამდენ პირთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში ლტოლვილთა დაბრუნების, ადამიანისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსისა და სახელმწიფოებრივი წყობის უზრუნველყოფის გარანტიათა პრინციპული საკითხები.

10. ამ შეთანხმების მონაწილენი ვალდებულებას კისრულობენ, არ გამოიყენონ მისი დებულებები, ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი მოქმედებისათვის, რომელმაც შეიძლება ზიანი მოუტანოს თითოეული მათგანის ინტერესებს.

საქართველოს სახელით
ვ. გოგუაძე.

აფხაზეთის სახელით
ს. ჯინჯოლია.

რუსეთის ფედერაციის სახელით
ა. კოზირევი.

სოჭი, 1993 წლის 27 ივლისი.

აფხაზეთში მშვიდობისათვის ჩვენი საერთო პასუხისმგებლობა ჩვენგან დიდ სიფხიზლეს მოითხოვს

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის მიმართვა

ხელმოწერილია შეთანხმება აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. დღეს ნაშუადღევს დადუმდება იარაღი. ეს მესამე ცდაა, წერტილი დაესვას ძმათამკვლელ ომს. პირველი ორი მათგანი ჩაიშალა, და ეს ძვირად დაუჯდა ქართველ და აფხაზ ხალხებს. ვიმედოვნებ, რომ მესამე ცდა საბოლოო იქნება, და მშვიდობა, ბოლოს და ბოლოს, სამუდამოდ დაისადგურებს ჩვენს საერთო მიწაზე.

სამისოდ, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა სამშვიდობო პროცესის ყველა მონაწილის — მხარეთა ლიდერების, იმათი, ვინც კონტროლს განახორციელებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო მეთვალყურეთა და ცისფერჩაჩქნებიან ჯარისკაცთა უდიდესი პასუხისმგებლობა.

თითოეულ მებრძოლს, ფრონტის ხაზის რომელ მხარესაც უნდა იბრძოდეს იგი, დღეს დასჭირდება ვაჟკაცობა, უფრო მეტი ვაჟკაცობა, მშვიდობის დასამკვიდრებლად, ვიდრე ბრძოლაში სჭირდება.

სამისოდ საჭირო იქნება ჩვენი თანამოქალაქეების — ქართველების, აფხაზების, სომხების, რუსების, ბერძნების, ყველა იმათი ვაჟკაცობა და თავშეკავება, მოთმინება და დიდსულოვნება, ვისაც ომმა ამდენი მსხვერპლი, ჭირ-ვარამი მოუტანა. ძნელია ვინმეს ყოვლისმიმტევებლობისაკენ მოუწოდო, როცა არ მოშუშებულა ჭრილობები, მაგრამ უამისოდ სისხლისღვრა არ შეჩერდება.

მე ვთხოვ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, უშიშროების საბჭოსა და სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს, რომლებსაც ისინი მიმართავენ ხელშეწყობისათვის მეთვალყურეთა და საჯარისო კონტინგენტების გამოსაყოფად, — მაქსიმალურად მოკლე ვადებში გადაწყვიტონ ეს საკითხი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას აქვს შანსი, რომ დაადასტუროს, თუ რაოდენ საფუძვლიანია მისი, როგორც ქვეყნად მთავარი სამშვიდობო ძალის, ავტორიტეტი, და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვას.

რუსეთის პრეზიდენტი მიესალმა მხარეთა მტკიცე გადაწყვეტილებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. მინდა მჯეროდეს, რომ ეს შეთანხმება იქნება შემობრუნებითი პუნქტი საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობაში, გახსნის საქართველო-რუსეთის დოკუმენტების ხელმოწერის გზას, რაც უდავოდ ხელს შეუწყობს კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონში სტაბილურობის აღდგენას.

ჩვენ გვინდა მეგობრობითა და თანხმობით ვიცხოვროთ კავკასიის ხალხებთან და ვეუბნებით მათ: კავკასიონის ქედი კი არ გვთიშავს, არამედ გვაერთიანებს ჩვენ.

აფხაზეთში მშვიდობისათვის ჩვენი საერთო პასუხისმგებლობა ჩვენგან დიდ სიფხიზლეს მოითხოვს. ხელმოწერილ შეთანხმებას ბევრი არაკეთილმოსურნე ჰყავს, და ისინი არც მალავენ თავიანთ განზრახვებს. ამ დოკუმენტის შემუშავება ძნელი იყო, და კიდევ უფრო ძნელი — მისი ხელმოწერა. მე ვიკისრე ერთი ადამიანისათვის მეტისმეტად მძიმე პასუხისმგებლობის ტვირთი, მაგრამ საქმე ეხება არა ჩემს ხვედრს — არამედ ჩემთვის ძვირფასი ადამიანების ბედს, და მხოლოდ მათ შესწევთ ძალა, შეაჩერონ ომი.

დაე, გაიმარჯვოს კეთილმა ნებამ!

ედუარდ შევარდნაძე.

1993 წლის 28 ივლისი, თბილისი.

ცეცხლის შეწყვეტა სერიოზული გზაა მშვიდობისაკენ

მშვიდობა მოვიდა მრავალტანჯულ ძირძველ ქართულ მიწაზე. ეს შესაძლებელი გახდა იმ შეთანხმების საფუძველზე, რომელსაც 27 ივლისს მოაწერეს ხელი სოჭში საქართველოს, აფხაზეთისა და რუსეთის წარმომადგენლებმა.

შეთანხმება აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მსოფლიოს საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. საქინფორმის კორესპონდენტებმა **ენდი ჩამიერაშვილმა** და **ნანა ბელაშვილმა** საქართველოში არსებული საელჩოების ხელმძღვანელებს სთხოვეს აზრი გამოეთქვათ ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის შესახებ.

გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში გიუნტერ დალჰოფი: მინდა ჩემი ქვეყნის ფედერალური მთავრობის სახელით კმაყოფილება გამოვთქვა აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტასთან დაკავშირებით. ფედერალური მთავრობა იმ აზრის არის, რომ მხოლოდ ცეცხლის შეწყვეტაა სერიოზული გზა, რომლის ძირისაც შეიძლება გაგრძელდეს მოლაპარაკებანი. ამ შეთანხმების მიღწევაში აღსანიშნავია ბატონ ედუარდ შევარდნაძის როლი. მისი პოლიტიკის მიღწევა იმაში გამოიხატება, რომ რუსეთში იგი პარტნიორს ხედავს, რომელთანაც ითანამშრომლებს, რაც საფუძველს ჩაუყრის სტაბილურობას. ამ შეთანხმებაში დიდი წვლილი მიუძღვის რუსეთის მხარესაც. მასზე ბევრად არის დამოკიდებული ის, თუ რამდენად სანდო იქნება შეთანხმების მიღწევა და ცეცხლის შეწყვეტა აფხაზეთში.

ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში კენტ ბრაუნი: დაბეჯითებით მინდა გითხრათ, რომ ეს დოკუმენტი წინ გადადგმული ნაბიჯია. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ყოველთვის მიიჩნევდა რომ მწვავე პრობლემების მოგვარება სამხედრო ძალით არ შეიძლება. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ უდავოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, რაც, უპირველეს ყოვლისა, კონფლიქტის ზონაში ცეცხლის შეწყვეტით გამოიხატება. მჯერა, რომ რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი ასევე დაინტერესებულია აფხაზეთში მშვიდობის დამყარებით. იგივე ინტერესები ამოძრავებს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციასაც. ჩემი ღრმა რწმენით, სოჭში მიღწეული შეთანხმება ბევრ სიკეთეს მოუტანს საქართველოს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ვან ფენსიანი: ჩინეთი, როგორც საქართველოს მეგობარი ქვეყანა, მხარს უჭერს მის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. ამ საშინელმა ომმა ბევრი ოჯახის კარი შეაღო, ბევრ დედას, მეუღლეს ჩააცვა ძაძები. დიდია მსხვერპლი, მატერიალური ზარალი. პრობლემა პრობლემას ემატება, დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარ ქვეყანას კი უჭირს ასეთი ბევრი პრობლემის გადაწყვეტა. მე, როგორც ჩინეთის წარმომადგენელი და როგორც ადამიანი, მხარს ვუჭერ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. მხოლოდ ეს მისცემს ქვეყანას საშუალებას გადაწყვიტოს პოლიტიკური თუ ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც ომმა უკანა პლანზე გადასწია. ორივე მხარე უნდა გაუფრთხილდეს მიღწეულ შეთანხმებას, რაც მხარეების შერიგების საწინდარი იქნება.

ისრაელის საელჩოს დროებითი რწმუნებული საქართველოში ბენიამინ ავილეა: მიმაჩნია, რომ ცეცხლის შეწყვეტის განხორციელება მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუმცა პრობლემა ბევრია, მაგრამ თუ ორივე მხარე ფიქრობს კომპრომისზე, ამ ინიციატივას მხარდაჭერა უნდა, რადგან ქართველ და აფხაზ ხალხებს სჭირდებათ მშვიდობა, ყურადღების მიპყრობა ქვეყნის განვითარებასა და მრავალი პრობლემის გადასაწყვეტად. ცეცხლის შეწყვეტის მომხრე და მოხარული ვარ, ვიზიარებ ბატონ ედუარდ შევარდნაძის აზრს მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით პრობლემის გადაწყვეტის შესახებ და ძალისხმევას მისი ხორცშესხმისათვის.

წუხელ შეიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობებ, რომ 27 ივლისს მთელი ღამის განმავლობაში შრომა-ახალშენის მონაკვეთში მიმდინარეობდა საბრძოლო მოქმედებანი.

23 საათსა და 40 წუთზე მოწინააღმდეგემ გრადის ტიპის რეაქტიული დანადგარებიდან დაიწყო ქართული პოზიციების დაბომბვა. საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ გახსნილი იქნა საპასუხო საარტილერიო ცეცხლი.

ღამის 21 საათიდან დილის 5 საათამდე მოწინააღმდეგე საბრძოლო ხომალდებიდან გრადის ტიპის რეაქტიული დანადგარების გამოყენებით აწარმოებდა გულრიფშის რაიონის ფშაფი-ბაბუშარისა და სოხუმის რაიონის დასახლებული პუნქტების დაბომბვას.

ასევე, პარალელურად მთელი ღამის განმავლობაში მოწინააღმდეგის თვითმფრინავი „სუ-25“ ასრულებდა საჰაერო რეისებს ქალაქ სოხუმის თავზე.

28 ივლისს დილიდან აფხაზეთის ფრონტის ხაზზე სიმშვიდე იგრძნობოდა.

ირმა ბობეჩია

პროვოკაციას არ აჰყვნენ

საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრმა სოხუმიდან გვაცნობა, რომ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ძირითადად ორივე მხარე იცავს, მაგრამ 12 საათსა და 45 წუთზე სამი საარტილერიო ჭურვი აფეთქდა რესპუბლიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე. 18 საათსა და 20 წუთზე და 18 საათსა და 45 წუთზე კი ყუმბარსატყორცნებიდან ცეცხლი დაუშინეს ქართულ პოზიციებს. ამ პროვოკაციულ სროლას ჩვენმა მებრძოლებმა ცეცხლით არ უპასუხეს. ქალაქ სოხუმში, აგრეთვე საბრძოლო მოქმედების ზონაში, ძირითადად, შენარჩუნებულია სიმშვიდე.

* * *

ქობულეთი. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს, რომ ქობულეთში აჭარპურპროდუქტების საწყობის დარაჯს ნუგზარ ვერულიძეს თავს დაესხნენ უმუშევრები თენგიზ დავითაძე და გოჩა ჯინჯიხაძე. მათ ავტომატის მუქარით მოითხოვეს ფქვილი, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ისინი პოლიციის მუშაკებმა ადგილზე დააკავეს.

მიმდინარეობს გამოძიება.

* * *

ოზურგეთი, როგორც საქინფორმის კორესპონდენტს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში აცნობეს, ოზურგეთის რაიონის სოფელ ნატანებში ჩაის ფაბრიკიდან ბოროტმოქმედებმა მოიპარეს 287 ტომარა ჩაის მზა პროდუქცია, რომლის წონა 8686 კილოგრამია. ამ ფაქტთან დაკავშირებით პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს უმუშევრები, ადრე ნასამართლევი ავთანდილ მამალაძე და ჯონი ხალუჭავაძე. ბოროტმოქმედებმა დანაშაული აღიარეს.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

ნომერში

- სპეკულაცია ეკოლოგიის პრობლემებით?! 3
- ორგანიზებული დამნაშავეობისა და კორუფციის განსაცდელის წინაშე. 4

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის

ბრძანება

აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ

1993 წლის 28 ივლისს ქალაქ სოჭში კონფლიქტის ზონაში ცეცხლის შეწყვეტის მიღწეული შეთანხმების შესაბამისად და საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 1993 წლის 28 ივლისის 12.00 საათიდან აფხაზეთში საომარი მოქმედების ზონაში მყოფმა საქართველოს რესპუბლიკის მთელმა შეიარაღებულმა ძალებმა შეწყვიტონ ცეცხლი.
2. ამ ბრძანების შესრულებისადმი კონტროლი დაეკისროს გენერალური შტაბის უფროსს გენერალ-მაიორ ა. ცქიტიშვილს.
3. სამმხრივი საკონტროლო-სამეთვალყურეო ჯგუფების შექმნისათვის დაინიშნოს პასუხისმგებელი საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსაგან — თავდაცვის მინისტრის მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი ლ. შარაშენიძე. ჯგუფების შემადგენლობაში შეყვანილ იქნეს პროფესიულად მომზადებული და საბრძოლო გამოცდილების მქონე ოცი ოფიცერი. ჯგუფების მზადყოფნა ამოცანის შესასრულებლად დამთავრდეს 1993 წლის 28 ივლისის დღის ბოლოსათვის.
4. ბრძანება გაეცნოს შეიარაღებული ძალების მთელ პირად შემადგენლობას.

თავდაცვის მინისტრი გენერალ-მაიორი
გ. ყარყარაშვილი.

1993 წლის 28 ივლისი.

გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ედუარდ ბრუნერი მისიით გამოემგზავრა საქართველოში

ჟენევა. 28 ივლისი. (იტარ-საქდესის კორ. კონსტანტინე პრიბიტკოვი). დღეს ახალი სამშვიდობო მისიით საქართველოში გაემგზავრა გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი, შვეიცარიელი დიპლომატი ედუარდ ბრუნერი. მოგზაურობიდან დაბრუნებისთანავე იგი გენერალურ მდივანს წარუდგენს მოხსენებას ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის ზონაში მდგომარეობის შესახებ.

ჟენევის აეროპორტში ჟურნალისტთა წინაშე გამოსვლისას ე. ბრუნერმა აღნიშნა, რომ რეგიონში გაერთიანებული ერების ყოფნამ დახმარება უნდა გაუწიოს „პოლიტიკური თვალსაზრისით ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების განვითარებას“, რომელსაც სამშაბათს სოჭში ხელი მოაწერეს კონფლიქტის მონაწილე მხარეებისა და რუსეთის წარმომადგენლებმა. საქმე ეხება აგრეთვე კონფლიქტის ზონაში გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა განლაგებისათვის მომზადებას, რომლებიც თვალს გაადევნებენ, როგორ შესრულდება ეს შეთანხმება.

როგორც დიპლომატმა თქვა, იგი აპირებს „შეხვდეს ყველა დაინტერესებულ მხარეს“. ამის შემდეგ მომზადებულ მოხსენებაში გენერალური მდივანი გაეცნობა წინადადებებს კონფლიქტის მოწესრიგებაში საერთაშორისო გაერთიანების შემდგომი მოქმედების შესახებ.

შეეხო რა სოჭში ხელმოწერილ შეთანხმებას ე. ბრუნერმა აღნიშნა, რომ იგი წინა მორიგებებისაგან, რომლებიც დაირღვა, განსხვავდება ორი მიმართულებით: საერთაშორისო მეთვალყურეთა მონაწილეობითა და სამშვიდობო მოლაპარაკების მექანიზმის შექმნით.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „მუდმივი კონტაქტები“ აქვს რუსეთის პრეზიდენტის პირად წარმომადგენელთან რუსეთ-საქართველო-აფხაზეთის სამმხრივ კონსულტაციებზე ბორის პასტუხოვთან და აპირებს მასთან შეხვედრას უახლოეს დღეებში საქართველოში ან მოსკოვში.

ახლანდელი მოგზაურობა მეორეა მას შემდეგ, რაც ამ ორი თვენახევრის წინათ ე. ბრუნერი დაინიშნა გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენლად საქართველოში. მაისში მას ჰქონდა მოლაპარაკება თბილისში, სოხუმსა და გუდაუთაში. შვეიცარიელი დიპლომატის წინაშე დგას შემდეგი ამოცანები: მიაღწიოს ცეცხლის შეწყვეტას, ხელი შეუწყოს მხარეებს კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების მიზნით მოლაპარაკების პროცესის გამოცოცხლებაში, უზრუნველყოს მეზობელი ქვეყნებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერა ამ მიზნების მიღწევაში.

• • •

გუშინ საღამოს ედუარდ ბრუნერი თბილისში ჩამოვიდა.

საპარლამენტო კომისიის სხდომა

28 ივლისს გაიმართა საქართველოს პარლამენტის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, კავშირგაბმულობისა და კომუნალური მეურნეობის კომისიის სხდომა.

საქართველოს სტანდარტიზაციის და მეტროლოგიის დეპარტამენტმა განსახილველად წარმოადგინა კანონპროექტები სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის შესახებ. გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს კანონები, დროის მოგების მიზნით, მეწარმეთათვის ხელის შესაწყობად, გამოიცეს დეკრეტების სახით, ხოლო შემდეგ ერთობლიობაში მოყვანილი საბოლოო ვარიანტი წარედგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად.

კანონპროექტი კავშირგაბმულობის შესახებ წარმოადგინა კავშირგაბმულობის სამინისტრომ. გადაწყდა, სათანადო შესწორებების შემდეგ კანონპროექტი გამოქვეყნდეს პრესაში.

პარლამენტის პრესცენტრი.

აფხაზეთი: უკანასკნელ საათს

ნუთუ ასე არამყარია მშვიდობა?...

„ნუთუ არ უწერია დამთავრება ომს, რომელმაც ამდენი უბედურება მოუტანა ასობით ოჯახს, ათასობით ადამიანს“, „ნუთუ ასე ფაქიზი და არამყარია მშვიდობა, რომ ყოველ მომენტში შეიძლება აფეთქდეს, მიუხედავად უმაღლეს დონეზე ხელმოწერილი შეთანხმებისა?...“ — მსგავს ფიქრებს უნებურად აღძრავს მოვლენები, რომლებიც 28 ივლისს — ომის დამთავრების პირველ დღეს — სოხუმსა და მის მიმდებარე სოფლებში განვითარდა.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მთავარი სამხედრო მრჩევლის ვლადიმერ ჩიქოვანის მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, ცეცხლის შეწყვეტიდან ზუსტად 45 წუთის შემდეგ — 12 საათსა და 45 წუთზე მოწინააღმდეგე მხარემ ისროლა სამი ჭურვი, რომელიც დაეცა სოხუმის ახალ რაიონში. შემდეგ — 18 საათსა და 20 წუთზე და 18 საათსა და 45 წუთზე მეექვსე ბატალიონს მოულოდნელად გაუხსნეს ცეცხლი ნაღმსატყორცნიდან. ჩვენები პროვოკაციას არ წამოეგნენ და გაუძლეს დარტყმას. მაგრამ... 15 საათსა და 50 წუთზე ბატალიონის წინააღმდეგ ცეცხლი კვლავ განახლდა. 19 საათსა და 40 წუთზე კი მოწინააღმდეგის რაზმმა, 120 მებრძოლის შემადგენლობით განახორციელა შეტევა ქართული ძალების ერთ-ერთ ქვეგანაყოფზე, რომელიც სოფელ ტამიშშია განლაგებული. ამჯერად სამთავრობო ჯარი იძულებული გახდა გაეხსნა თავდაცვითი ცეცხლი. 20 საათსა და 30 წუთისთვის, როცა ეს სტრიქონები იწერებოდა, ბრძოლები გრძელდებოდა.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე 28 ივლისს სოხუმს გაფრინდა.

შეთანხმების დარღვევის ფაქტებზე ქართულმა მხარემ დაუყოვნებლივ აცნობა რუსეთის მხარეს.

ვემზადოთ მშვიდობისათვის!

გუშინ საქართველოს პარლამენტის დარბაზში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ამ დღეებში ქ. სოჭში საქართველოს, აფხაზეთისა და რუსეთის წარმომადგენელთა მიერ ხელმოწერილ შეთანხმებას აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მის შესრულებაზე კონტროლის მექანიზმის შესახებ.

რესპუბლიკის პრესის, ტელევიზიისა და რადიოს, აგრეთვე, საქართველოში აკრედიტებულ უცხოეთის სააგენტოთა ჟურნალისტების წინაშე წარსდგნენ აღნიშნული შეთანხმების ხელმოწერის მონაწილენი საქართველოს მხრიდან.

ბატონმა ვახტანგ გოგუაძემ აღნიშნა: — ყველას კარგად ესმის, რომ შეთანხმების ტექსტი, რომელსაც ხელი მოაწერეს სოჭში, მეტად მძიმეა და ბევრი ნაკლიც აქვს, მაგრამ, როდესაც ვაანალიზებთ რეალობას და იმ კონკრეტულ მძიმე შედეგებს, რის წინაშეც აღმოვჩნდით, ცხადია, დღეს ცეცხლს, კაცთა კვლასა და ნგრევას მშვიდობა და პოლიტიკური დიალოგი უნდა ვამჯობინოთ. ეფექტურად უნდა გამოვიყენოთ ის შესაძლებლობანი, და გარანტიები, რომელთაც, ამ მიმართულებით კისრულობენ თვით რუსეთი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები.

ითქვა, რომ სოჭში, შეთანხმების ხელმოწერის დროს, თვალნათლივ იგრძნობოდა რუსეთის მონდომება და მოწადინება — ბოლო მოეღოს ამ კონფლიქტს და დამყარდეს მშვიდობა აფხაზეთში.

ეს ხდება, აღნიშნა ვახტანგ გოგუაძემ, არა იმიტომ, რომ რუსეთს აუჩუყდა გული ჩვენზე, არამედ იმიტომ, რომ დღეს მას, როგორც რუსეთში მიმდინარე მოვლენები გვიჩვენებენ, უფრო მეტად სჭირდება მშვიდობიანი და სტაბილური საქართველო და საერთოდ კავკასიის რეგიონი. მაგრამ არსებობს ე. წ. „მწარე გამოცდილებაც", რომელიც მოჰყვა წინა შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს, ამის შესახებ ჩვენ პირდაპირ ვუთხარით ბატონ კოზირევს და დავძინეთ, რომ რუსეთს ახლა დიდი მისია დაეკისრება. დაპირებაც და მონდომებაც არის, მაგრამ მარტო რუსეთზე არ იქნება დამოკიდებული ამ პროცესის წარმატებით განხორციელება, ჩვენზეც — ქართველ და აფხაზურ მხარეებზეც ბევრი იქნება დამოკიდებული. საქართველოს წარმომადგენლები შევედით აფხაზეთის დელეგაციასთან, ხელი ჩამოვართვით, მათი მხრიდანაც იგრძნობოდა მონდომება და დიდი სურვილი ერთობლივად დავაღწიოთ თავი ამ ტრაგიკულ დაპირისპირებას.

პრესკონფერენციაზე ხაზი გაესვა იმ გარემოებასაც, რომ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, არაერთგვაროვნად აფასებს ჩვენი საზოგადოებრიობა, მათ შორის ოპოზიცია, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს ახალი კონფრონტაციის მიზეზი.

პრესკონფერენციის მონაწილეებმა პასუხი გასცეს ჟურნალისტთა მრავალრიცხოვან კითხვებზე. ჩემს კითხვაზე — დროის რა მონაკვეთში შეძლებენ გაეროს დამკვირვებლები მოამზადონ ნიადაგი კონფლიქტის ზონაში გაეროს მშვიდობისმოყვარე ძალების შემოყვანისათვის? ბატონმა ალექსანდრე კავსაძემ მიპასუხა, ამისათვის მათ სამი კვირა მაინც დასჭირდებათო.

ღმერთმა ქნას, მართლაც ასე იყოს!

ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩანს, მარტო რუსეთის იმედად არ ვიქნებით.

გია ჭელიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

იმასთან დაკავშირებით, რომ უკანასკნელ დროს მკვეთრად გაიზარდა რესპუბლიკის სამინისტრო-უწყებებისა და სხვა ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა ხშირი, უსისტემო, დაუსაბუთებელი, მათ შორის, ხანმრავალი და ხანგრძლივი მივლინებები უცხოეთის ქვეყნებში, რასაც ორგანიზაციული სირთულეების გარდა რიგ შემთხვევებში მოსდევს გაუმართლებელი სავალუტო ხარჯები, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის განკარგულებით დაწესდა, რომ რესპუბლიკის სამინისტრო-უწყებებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, სახელმწიფო კონცერნების, კორპორაციების, საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების ხელმძღვანელები უცხოეთში გამგზავრებისათვის ყველა კონკრეტული მივლინებისა და მათი ხანგრძლივობის ნებართვას ღებულობენ მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელობის — პრემიერ-მინისტრის ან მისი მოადგილეების თანხმობით სათანადო წერილობითი მომართვის საფუძველზე, სამივლინებო დავალების დამტკიცებით და თანხლები პირების და შესაბამის ანგარიშზე სავალუტო სახსრების ჩვენებით.

უცხოეთში მივლინებიდან დაბრუნებული პირები წარმოუდგენენ მინისტრთა კაბინეტს — პრემიერ-მინისტრს ან მის მოადგილეებს დარგების მიხედვით დაწვრილებით ტექნიკურ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ ანგარიშს მივლინების შედეგად მიღწეული კონკრეტული შედეგების მითითებით.

მინისტრთა კაბინეტის წევრებს, რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების მუშაკებს ეკრძალებათ უცხოეთში მივლინებით გამგზავრება არასაუწყებო სახსრებით, ყოველგვარ სპონსორთა და სხვა კატეგორიის ხელშემწყობთა ხარჯზე. მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელობის ცალკეული კონკრეტული ნებართვების გარდა.

რწმუნებული ბანკების მიერ მოქალაქეებისათვის მიმდინარე სავალუტო ანგარიშების (ანაბრების) გახსნისა და წარმოების წესები

1. საქართველოს რესპუბლიკის რწმუნებული ბანკები უფლებამოსილი არიან გაუხსნან მიმდინარე სავალუტო ანგარიშები და ვადიანი ანაბრები მოქალაქეებს.

2. ანგარიშები (ანაბრები) გაეხსნებათ:

— საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს;

— უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საზღვარგარეთ;

— უცხოელ მოქალაქეებს, რომლებიც მუდმივ საცხოვრებლად ჩამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკაში (რეპატრიანტებს ემიგრანტებს, იმიგრანტებს, პოლიტემიგრანტებს).

3. ანგარიშებზე (ანაბარზე) ჩაირიცხება:

— ნაღდი ვალუტა საზღვარგარეთიდან შემოტანილი და (ან) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეძენილი;

— ანგარიშის მფლობელის სახელზე საზღვარგარეთიდან გადმოგზავნილი ვალუტა;

— ანგარიშის მფლობელის სახელზე საქართველოს რესპუბლიკის სხვა ბანკებისა და ორგანიზაციების მიერ გადმორიცხული ვალუტა.

— ანგარიშის მფლობელის სახელზე საზღვარგარეთიდან გადმორიცხული ხელფასი, პენსია, ალიმენტი, პრიზი და სხვა;

— სხვა ანგარიშიდან გადმორიცხული სავალუტო სახსრები.

4. მოქალაქის, რომელსაც ესაჭიროება საზღვარგარეთ მკურნალობა და სპონსორი ორგანიზაციები გადმოურიცხავენ სავალუტო სახსრებს, საქველმოქმედო ანგარიში გაეხსნება საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წერილის საფუძველზე.

5. ანგარიშის მფლობელის განკარგულებით შეიძლება:

— გაიცეს ნაღდი ვალუტა;

— გადაირიცხოს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმ ორგანიზაციების ანგარიშებზე, რომლებიც აწარმოებენ საქონლის და მომსახურების რეალიზაციას უცხოურ ვალუტაზე;

— გადაირიცხოს სხვა რწმუნებულ ბანკებში;

— გადაირიცხოს საზღვარგარეთ;

— გადაირიცხოს რესპუბლიკაში მოქმედ ფულად ერთეულში საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე;

— განაღდდეს რესპუბლიკაში მოქმედ ფულად ერთეულში ოპერაციის დღისთვის მოქმედი რწმუნებული ბანკის მიერ დადგენილი საბაზრო კურსით;

— გადაირიცხოს სხვა მოქალაქის ანგარიშზე.

6. მოქალაქემ, რომელსაც სპონსორები ურიცხავენ სავალუტო სახსრებს საზღვარგარეთ მკურნალობის მიზნით, ანგარიშიდან ნაღდი ვალუტის გატანისას ან სამკურნალო დაწესებულების ანგარიშზე გადარიცხვისას ბანკს უნდა წარუდგინოს საზღვარგარეთ გასვლის ვიზა.

7. ანგარიშის მფლობელს შეუძლია მისცეს მინდობილობა სხვა პირებს ანგარიშიდან სახსრების გაცემაზე. მინდობილობაზე ანგარიშის მფლობელის ხელმოწერა შეიძლება დაამოწმოს ბანკის მუშაკმა, საელჩომ, საკონსულომ ან სახელმწიფო ნოტარიუსმა.

მინდობილობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს. თუ მინდობილობაში არ არის ნაჩვენები ვადა, იგი ძალაშია ერთი წლის განმავლობაში.

მინდობილობა კარგავს ძალას, ანგარიშის მფლობელის გარდაცვალების მომენტიდან. ამასთან ბანკი არ აგებს პასუხს ანგარიშიდან თანხის გაცემაზე იმ შემთხვევაში, თუ იგი არ იყო ინფორმირებული ანგარიშის მფლობელის გარდაცვალების შესახებ.

8. ანგარიშის მფლობელს შეუძლია ბანკს მისცეს განკარგულება, თანხის გაცემაზე ტელეგრაფით.

დეპეშაზე ანგარიშის მფლობელის ხელმოწერას ამოწმებს ტელეგრაფი.

ბანკი არ არის პასუხისმგებელი დეპეშაში ტექსტის დამახინჯებაზე და სხვა შესაძლებელ გაუგებრობაზე.

9. ანგარიშის მფლობელს შეუძლია გააკეთოს სამემკვიდრეო განკარგულება ნებისმიერი (ფიზიკური ან იურიდიული) პირის სასარგებლოდ. სამემკვიდრეო განკარგულებაში ნაჩვენები უნდა იყოს: ანგარიშის ნომერი, საბუთის შედგენის თარიღი, პირის ან პირების დასახელება, რომელთაც მემკვიდრეობით გადაეცემათ სახსრები (სათანადო წილის ჩვენებით), სათანადოდ დამოწმებული ანგარიშის მფლობელის ხელმოწერა.

ანგარიშის მფლობელის გარდაცვალების შემდეგ სამემკვიდრეო თანხა გაიცემა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ბანკი დაარიცხავს პროცენტებს ანგარიშებზე (ანაბრებზე) მის მიერ დადგენილი ოდენობით.

11. ბანკი იღებს საკომისიო გასამრჯელოს ანგარიშის მფლობელის დავალების შესრულებისათვის მის მიერ დადგენილი ტარიფით.

12. ბანკი უგზავნის ანგარიშის მფლობელს ამონაწერს ყოველი ოპერაციის ჩატარების შემდეგ.

ანგარიშის მფლობელმა 1 იანვრის მდგომარეობით, ბანკს უნდა გაუგზავნოს დამოწმება ან წინააღმდეგობა ნაშთის შესახებ.

13. ბანკი ინახავს საიდუმლოებას თავისი კლიენტების ანგარიშებისა და ანაბრების შესახებ, იძლევა გარანტიას სავალუტო სახსრების შენახვასა და პირველი მოთხოვნისთანავე გაცემაზე.

14. ბანკის მიერ ანგარიში დაიხურება ანგარიშის მფლობელის წერილობითი განცხადებით და 6 თვის განმავლობაში ანგარიშზე სახსრების უქონლობის გამო.

რწმუნებული ბანკების მიერ რეზიდენტი იურიდიული პირებისათვის მიმდინარე სავალუტო ანგარიშების გახსნის, წარმოებისა და სავალუტო სახსრების გამოყენების წესები

1. საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რწმუნებული ბანკები უფლებამოსილი არიან, გაუხსნან მიმდინარე სავალუტო ანგარიშები (შემდგომში, ანგარიში) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ყველა რეზიდენტ იურიდიულ პირს, რომელიც ახორციელებს საგარეო ეკონომიკურ საქმიანობას.

2. რწმუნებული ბანკები გაუხსნიან ორგანიზაციებს ანგარიშებს სხვადასხვა უცხოურ ვალუტაში (რუსულ მანეთებში, ამერიკულ დოლარებში, გერმანულ მარკებში და ა. შ.)

3. ორგანიზაციას უფლება აქვს, გახსნას ანგარიში მხოლოდ ერთ ბანკში.

ორგანიზაციას შეუძლია ერთ ბანკში გახსნას რამდენიმე ანგარიში სხვადასხვა უცხოურ ვალუტაში.

4. ანგარიშის გასახსნელად ორგანიზაციამ ბანკს უნდა წარუდგინოს შემდეგი საბუთები:

— განცხადება დადგენილი ფორმის მიხედვით,

— სათანადოდ დამტკიცებული და ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო საბუთების (წესდების, დებულების, ხელშეკრულების) ასლები;

— ბარათი ანგარიშზე ოპერაციების წარმოებაზე რწმუნებული პირების ხელმოწერის ნიმუშებითა და ორგანიზაციის ბეჭდის დამღით (სანოტარო კანტორის მიერ დამოწმებული).. .

5. ორგანიზაციების სავალუტო სახსრების აღრიცხვა წარმოებს 070 საბალანსო ანგარიშზე „საქართველოს რესპუბლიკის ორგანიზაციების სავალუტო სახსრების აღრიცხვა მიმდინარე ანგარიშები".

6. ორგანიზაციების დავალებით რწმუნებულ ბანკს შეუძლია ანგარიშზე არსებული სავალუტო სახსრები ჩარიცხოს ვადიან ანაბარზე.

7, რწმუნებული ბანკები ხსნიან სატრანზიტო ანგარიშს, რომელზეც ჩაირიცხება ორგანიზაციების საგარეო-ეკონომიკური საქმიანობიდან ამონაგები სავალუტო სახსრები მთლიანი მოცულობით..

არაუგვიანეს შემდეგი სამუშაო დღისა, რწმუნებული ბანკი აცნობებს ორგანიზაციას სავალუტო ამონაგების შემოსვლის შესახებ.

სატრანზიტო ანგარიში გაიხსნება 076 საბალანსო ანგარიშზე.

8. ორგანიზაცია რწმუნებულ ბანკს აძლევს დავალებას, სატრანზიტო ანგარიშიდან საქართველოს რესპუბლიკის სავალუტო ფონდში და სხვა სავალუტო ფონდებში სავალუტო სახსრების გადარიცხვაზე დადგენილი ნორმატივების მიხედვით.

9. თუ ორგანიზაცია ბანკის შეტყობინების გაგზავნიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში არ წარუდგენს რწმუნებულ ბანკს საგადასახადო დავალებას, ბანკი თვითონ ახორციელებს გადარიცხვებს სათანადო ფონდებში დადგენილი ნორმატივების მიხედვით.

10. სატრანზიტო ანგარიშიდან სათანადო ანარიცხების განხორციელების შემდეგ დარჩენილი სავალუტო სახსრები გამოიყენება ორგანიზაციების სავალუტო ფონდების ფორმირებისათვის.

11. რწმუნებული ბანკები საანგარიშსწორებო ოპერაციებს აწარმოებენ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საბირჟო კურსებით.

12. ორგანიზაციების ანგარიშებზე შეიძლება ჩაირიცხოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობიდან ამონაგები ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით ბანკში შემოსული სავალუტო სახსრები;

— საზღვარგარეთიდან ფირმებისა და სხვა ორგანიზაციების, ასევე კერძო პირების მიერ გადმოგზავნილი.

— სავალუტო აუქციონზე ან ბირჟაზე ნაყიდი.

— სხვა რეზიდენტი ორგანიზაციებისა და ერთობლივი საწარმოების ანგარიშიდან გადმორიცხული ან ნაღდად შემოტანილი.

— რეზიდენტი და არა რეზიდენტი მოქალაქეების მიერ შემოტანილი ნაღდი ვალუტა და მათი მიმდინარე ანგარიშებიდან გადმორიცხული.

13. ანგარიშის მფლობელის დავალებით რწმუნებულ ბანკს შეუძლია შეუზღუდავად აწარმოოს გადარიცხვა ანგარიშიდან ყველა იმ მიზნისათვის, რაც შეესაბამება ორგანიზაციის საქმიანობას.

ბანკს შეუძლია გასცეს ნაღდი ვალუტა ორგანიზაციების, მათ შორის, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიერ ბანკის სალაროში შემოტანილი თანხის ფარგლებში, ასევე სამივლინებო ხარჯებისათვის დადგენილი ნორმებით.

ზემოთ აღნიშნული ოპერაციების განსახორციელებლად ორგანიზაციამ ბანკს უნდა წარუდგინოს სათანადო საანგარიშსწორებო საბუთები და კონტრაქტები,

14. ორგანიზაციების ანგარიშებიდან სახსრების ხარჯვა შეიძლება მხოლოდ ნაშთის ფარგლებში.

რწმუნებული ბანკები აწარმოებენ სარგებლის დარიცხვას ორგანიზაციების ანგარიშებზე და ვადიან ანაბრებზე მათ მიერ დადგენილი სარგებლის განაკვეთით.

სატრანზიტო ანგარიშზე სარგებელი არ ჩაირიცხება.

15. ანგარიშებისა და ვადიანი ანაბრების გახსნისათვის და ანგარიშებზე ოპერაციების წარმოებისათვის რწმუნებული ბანკები ორგანიზაციებისაგან იღებენ საკომისიო გასამრჯელოს. საკომისიო გასამრჯელოს ტარიფს ადგენენ თვით რწმუნებული ბანკები.

16. საკომისიო და საფოსტო-სატელეგრაფო ხარჯებს რწმუნებული ბანკები ჩამოაწერენ ორგანიზაციის ანგარიშიდან.

17. ანგარიშის ნაშთის გადაფასება ხდება ანგარიშის ვალუტის კურსის ცვლილებისას კუპონთან შეფარდებით, საკურსო განსხვავება აისახება კლიენტის ანგარიშზე.

18. რწმუნებული ბანკები ოპერაციების შესრულების კვალობაზე ორგანიზაციებს უგზავნიან ანგარიშებიდან ამონაწერებს. გაგზავნიდან 15 დღის განმავლობაში, თუ ბანკმა არ მიიღო რაიმე შენიშვნა, ამონაწერი ითვლება დამოწმებულად.

ორგანიზაცია უმოწმებს ბანკს მიმდინარე ანგარიშის ნაშთს ყოველი წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

19. რწმუნებული ბანკების თანამშრომლები ვალდებული არიან, დაიცვან საიდუმლოება კლიენტების ოპერაციების, ანგარიშებისა და ანაბრების შესახებ.

ორგანიზაციების ოპერაციებისა და ანგარიშების შესახებ ცნობები გაიცემა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

რწმუნებული ბანკების მიერ არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონებში მიმდინარე ანგარიშებისა და ანაბრების გახსნისა და წარმოების წესები

1. რწმუნებული ბანკები უფლებამოსილი არიან, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არარეზიდენტ იურიდიულ პირებს (შემდგომში არარეზიდენტი) გაუხსნან მიმდინარე ანგარიშები და ანაბრები საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონებში.

1. 2. ბანკებს შეუძლიათ გახსნან ორი სახის ანგარიში (ანაბარი) გამოყენების თავისუფალი და შეზღუდული რეჟიმით.

1. 3. გამოყენების თავისუფალი რეჟიმის ანგარიშზე (ანაბარზე) ჩაირიცხება:

1. 3. 1. არარეზიდენტების მიერ ეროვნული ბანკისათვის ან რწმუნებული ბანკებისათვის საბაზრო კურსით მიყიდული უცხოური ვალუტიდან შემოსული სახსრები;

1. 3. 2. ერთობლივ და მხოლოდ უცხოელთა საკუთრებაში მყოფი საწარმოებიდან დივიდენდების სახით შემოსული სახსრები;

1. 3. 4. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონებში ფასიანი ქაღალდების (აქციები, ობლიგაციები და სხვა) რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლები;

1. 4. გამოყენების თავისუფალი რეჟიმის ანგარიშის მფლობელის განკარგულებით ანგარიშზე რიცხული სახსრები შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი დანიშნულებით:

1. 4. 1. გადაყვანილ იქნას უცხოურ ვალუტაში საბაზრო კურსით და გაიგზავნოს საზღვარგარეთ;

1. 4. 2. განხორციელდეს ნებისმიერი გადარიცხვა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და გაიცეს ნაღდად.

1. 5. ანგარიშები (ანაბრები) გამოყენების შეზღუდული რეჟიმით გაეხსნებათ არარეზიდენტებს, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განახორციელებენ ობიექტების მშენებლობასთან, მათ შორის სამშენებლო, სამონტაჟო, შეფ-სამონტაჟო და ამუშავება-გამართვის სამუშაოებთან დაკავშირებულ სამეურნეო საქმიანობას.

1. 6. ამ ანგარიშზე ჩაირიცხება:

1. 6. 1. საქართველოს რესპუბლიკის ორგანიზაციების მიერ არარეზიდენტის სასარგებლოდ შეტანილი სახსრები;

1. 6. 2. არარეზიდენტის მიერ საზღვარგარეთიდან შემოტანილი და საქართველოს რესპუბლიკის ორგანიზაციებზე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის რეალიზაციის შედეგად შემოსული, თუ ეს გათვალისწინებულია კონტრაქტით, ან სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული სახსრები.

1. 7. ამ ანგარიშის მფლობელის განკარგულებით ანგარიშზე რიცხული სახსრები შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი დანიშნულებით:

1. 7. 1. სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული მიმდინარე ხარჯების დასაფარავად;

1. 7. 2. მომუშავე პერსონალის ხელფასის, სამივლინებო ხარჯებისა და კონტრაქტით გათვალისწინებული სხვა ხარჯების დაფარვისათვის ნაღდი ფულის გასაცემად;

1. 7. 3. დიპლომატიური, სავაჭრო და სხვა წარმომადგენლობების საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებისათვის;

1. 7. 4. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქონლის შესაძენად საზღვარგარეთ გატანის მიზნით... ამ შემთხვევაში, საჭიროა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტის სპეციალური ნებართვა, ხოლო რესპუბლიკიდან საზღვარგარეთ ისეთი საქონლის გატანაზე, როგორიცაა სახალხო მოხმარების, სახურსათო დანიშნულების პროდუქცია, ნედლეული, მასალები, სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაცია, პროგრესული ტექნოლოგია, საჭიროა რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოების ლიცენზია;

1. 7. 5. სავალუტო აუქციონზე საბაზრო კურსით უცხოური ვალუტის შესაძენად რესპუბლიკის ეკონომიკაში ინვესტირებული და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციისა და მომსახურების შედეგად მიღებული თანხის ფარგლებში.

1. 7. 6. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკაში ინვესტირებისათვის რესპუბლიკის მთავრობის მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად..

1. 8. ამ ანგარიშებზე რიცხული სახსრების ხარჯზე შიდა სავალუტო ბაზარზე ვალუტის შესყიდვა და საზღვარგარეთ გაგზავნა აკრძალულია.

1. 9. არარეზიდენტების ანგარიშებიდან გადარიცხვები და ნაღდი ფულის გაცემა შეიძლება მხოლოდ ნაშთის ფარგლებში.

2. არარეზიდენტის ანგარიშის გახსნაზე, რომლის წლიური შემოსავალი 100 მილიონ კუპონს შეადგენს, საჭიროა ეროვნული ბანკის ნებართვა.

3. ეროვნული ბანკის კუპონებში ანგარიშების მფლობელ არარეზიდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საკუთრების გაყიდვის აუქციონზე. ისინი ანგარიშსწორებას განახორციელებენ იმ სახსრების ფარგლებში, რაც დააბანდეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საწარმოების მშენებლობაში ან მიიღეს მანქანა-მოწყობილობების, დანადგარებისა და სახალხო მოხმარების საქონლის გაყიდვიდან.

3. 1. აუქციონებზე არარეზიდენტებისათვის გამოიყენება შედარებით მაღალი კოეფიციენტი. კოეფიციენტების ოდენობას დაადგენს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ან მისი ტერიტორიალური ორგანოები რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით. აუქციონის მონაწილეებს კოეფიციენტები ეცნობებათ წინასწარ.

3. 2. სავალუტო აუქციონებზე ვალუტის შესყიდვისას ეროვნული ბანკის კუპონებში ანგარიშის მფლობელი არარეზიდენტებისათვის გამოიყენება შედარებით მაღალი კურსი (კოეფიციენტი), რომელსაც დაადგენს აუქციონის კომიტეტი ეროვნულ ბანკთან და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით. კურსის (კოეფიციენტის) ოდენობა აუქციონის მონაწილეებს ეცნობებათ წინასწარ.

4. ანგარიშის გასახსნელად არარეზიდენტმა ბანკს უნდა წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკაში უცხოეთის სახელმწიფოს საელჩოში ან საზღვარგარეთ საქართველოს რესპუბლიკის საელჩოში დამოწმებული (ლეგალიზებული) საბუთები:

4. 1. განცხადება, რომელშიც ნაჩვენები იქნება კუპონებში შემოსავლების სავარაუდო წყაროები და გამოყენების მიმართულებანი;

4. 2. ნოტარიულად დამოწმებული / დებულების ასლი;

4. 3. ბარათი ანგარიშის განკარგვაზე რწმუნებული პირების ხელმოწერის ნიმუშებით;

4. 2. ერთობლივი საწარმოებისა და სააქციო საზოგადოებების უცხოელმა მონაწილეებმა, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ანგარიშის გასახსნელად ბანკს უნდა წარუდგინოს შემდეგი საბუთები:

4. 2. 1. აუდიტორიების მიერ დამოწმებული წლიური ანგარიშების ასლები;

4. 2. 2. აქციონერების ან მხოლოდ უცხოელთა საწარმოს უმაღლესი ორგანოს კრების გადაწყვეტილება მონაწილეებისა და აქციონერებისათვის დივიდენდების გადარიცხვის შესახებ.

4. 3. არარეზიდენტებს, რომლებიც სამეურნეო საქმიანობას განახორციელებენ დადებული კონტრაქტების შესაბამისად, ანგარიშები გაეხსნებათ საქართველოს რესპუბლიკის ორგანიზაციების — კონტრაგენტების შუამდგომლობის საფუძველზე.

4. 4. ამ რეზიდენტებმა ბანკს უნდა წარუდგინონ:

4. 4. 1. კონტრაქტების ასლები;

4. 4. 2. საქართველოს რესპუბლიკის ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებების ასლები მათზე სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციის შესახებ.

4. 5. არარეზიდენტების სახსრები კუპონებში აღირიცხება №701 საბალანსო ანგარიშზე.

5. არარეზიდენტების ანგარიშები შეიძლება დაიხუროს:

5. 1. ანგარიშის მფლობელის განცხადების საფუძველზე;

5. 2. კონტრაქტის ვადის გასვლის შემთხვევაში;

5. 3. მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით.

რამდენად სწორია ამჟამინდელი ეკონომიკური პოლიტიკა

არსებულმა საგადასახადო სისტემამ ბლოკირება გაუკეთა საწარმოო და საინვესტიციო აქტივობას.

სამეურნეო კავშირები, დარგთაშორისი კავშირები, წარმოების რესურსული უზრუნველყოფა, სტიქიურად წარიმართა, სახელმწიფომ ნებაყოფლობით უარი განაცხადა ამ ფუნქციების შესრულებაზე იმ დროს, როცა შესაბამისი საბაზრო მექანიზმები არ არსებობდა, ან იმდენად სუსტი იყო, რომ იგი ვერ შესძლებდა რესურსების განლაგებას, პროდუქციის წარმოებასა და განაწილებას. სამეურნეო ცხოვრება თვითდინებაზე მიუშვეს. ამან მნიშვნელოვნად განაპირობა განუკითხაობის, ეკონომიკის ძარცვის ვითარების ჩამოყალიბება. სახელმწიფომ თავის თავზე არ აიღო ეკონომიკის რეგულირების ის სფეროებიც, რასაც თვით საბაზრო ურთიერთობები მოითხოვს (მეწარმეობის განვითარებისათვის ხელისშეწყობა, სტრუქტურული ცვლილებები, საკუთრებით ურთიერთობათა სრულყოფა, საკუთრების დაცვა და სხვ.) საერთოდ, უყურადღებოდ დარჩა მიკროეკონომიკური რეგულირება. განვითარების ახალი პრიორიტეტების განსაზღვრისა და წარმოების გამოცოცხლების კარგად მოფიქრებული სამეურნეო პოლიტიკის გარეშე დარჩა რეფორმა.

სტრატეგიულ და ტაქტიკურ შეცდომათა მაღალ რანგს (ხარისხს) მიეკუთვნება ის, რომ „შოკური თერაპია", როგორც დოქტრინა, რომლის მიზანია დაავადებული საბაზრო ეკონომიკის გამოჯანმრთელება, გამოყენებულ იქნა ტოტალიტარული ეკონომიკიდან საბაზრო ურთიერთობათა ახალ სტრუქტურებზე გადასვლის სტრატეგიად.

საკუთარი პრინციპებისადმი ერთგულმა „შოკურმა თერაპიამ" — ქონებრივ დიფერენციაციაში „რევოლუციური" ნახტომი გააკეთა. დაბადა სრულიად ახალი ფენა — ის, ვინც შიმშილობს (მოსახლეობის დიდი ნაწილი), და ვინც პერსპექტივაში იშიმშილებს. ეს უდიდესი პოტენციის პოლიტიკური ძალაა. იგი მხოლოდ „მთვლემარე" მდგომარეობაშია დღეს. მოსახლეობის მცირერიცხოვანი ნაწილის ბაზაზე კი ჩამოყალიბდა ახალი ელიტა — კორუფციით, ქვეყნისა და მოსახლეობის ძარცვის გზით ნაშოვნი დიდი კაპიტალის მფლობელი. იგი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწევა ეროვნული ქონების უდიდესი ნაწილის დასაკუთრებისა და ხელისუფლებაში წონადი გავლენის საბოლოოდ მოპოვებისათვის. დღევანდელ ეკონომიკურ პოლიტიკას კი ეს სამართლიანად მიაჩნია. გასაგებია, რომ საბაზრო ეკონომიკა ქონებრივ დიფერენციაციას გააღრმავებს, ამ პროცესს მეტად მტკივნეულს გახდის, მაგრამ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სასტარტო ბაზა მაინც ხომ უნდა იყოს სამართლიანობის, ჰუმანიზმის პრინციპით განსაზღვრული?

ქონებრივ დიფერენციაციას სხვა საფუძველი აქვს: მაღალნაყოფიერი შრომა, ნიჭი, ორგანიზების ძლიერი უნარი, ნებისყოფა, რისკის პოტენციალი, და სხვა, და არა ძარცვის, ყაჩაღობის, სხვისი ქონების ძალად მითვისების უნარი! მოქალაქე, პირველ რიგში, სოციალურად, სამართლებრივად უნდა იყოს დაცული, სხვანაირად მესაკუთრე ვერ გახდება, იგი თავისუფალი არ იქნება.

ეკონომიკურმა პოლიტიკამ არასწორად განსაზღვრა განსახელმწიფოებრიობის, პრივატიზაციის პროცესიც. იგი მხოლოდ არსებული სახელმწიფოებრივი საკუთრების გარდაქმნის ერთადერთი შესაძლებლობით ამოიწურა. პარალელური კერძო სტრუქტურების ფორმირებისათვის შესაბამისი საფუძველი არ მომზადა. **ამიტომ კაპიტალისტური (კერძო) ეკონომიკის დროშით (ნიღბით) დაიწყო სახელმწიფო საკუთრების გაუაზრებლად ლიკვიდაციის პროცესი (ნაცვლად იმისა, რომ სახელმწიფო საწარმოების ეფექტურობის ამაღლების (მათ შორის კომერციალიზაცია), სტაბილურობის შესაბამისი ღონისძიებანი განხორციელებულიყო და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გარდამავალ ეტაპზე ახალი ეკონომიკური გარემოს გავლენით სახელმწიფო სექტორს (იმ ნაწილს, რომელსაც ეფექტიანად მუშაობა შეეძლო) მოეცა შესაძლებლობის მაქსიმუმი.**

საჭირო იყო არა საერთოდ სახელმწიფო საკუთრების დაუნდობელი განადგურება, არამედ მისი მონოპოლიური მდგომარეობის შეცვლა, იმისათვის ხელშეწყობა, რომ შექმნილიყო საკუთრებისა და კონკურენტული მრავალფეროვანი გარემო. აქციონერების პროგრამა არ იყო ყოველმხრივ გააზრებული, ამიტომ იგი წააწყდა შრომითი კოლექტივების დიდ წინააღმდეგობას. სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის ფუნქციების „გამასშტაბურება" მხოლოდ ილუზიების, ნომენკლატურის ძალის დემონსტრირებაა და არა ეკონომიკური პროცესების მეცნიერული ანალიზისა და შეფასების შედეგი. ბევრი საწარმო ფარულად პრივატიზებულია, ე. წ. ნომენკლატურული პრივატიზაცია წარმატებით ჩატარდა (ცალკეულ არასახელმწიფოებრივ სტრუქტურებს სახელმწიფო და კოოპერატიული ქონების გარკვეული ნაწილი იაფად (სიმბოლურ ფასად) ან ბალანსიდან ბალანსზე გადაეცა.

პრივატიზაცია ხანგრძლივი პროცესია. მის ყველა ეტაპს თავისებურება აქვს. მათი ადეკვატური უნდა იყოს პროცესის მართვის მექანიზმიც. სამწუხაროდ, საჭირო სიძლიერისა და მოქნილობის მექანიზმის ფორმირებაც ვერ მოხერხდა. ამიტომ, პრივატიზაციის რთული პროცესი რეგულირებიდან გამოვიდა. **პრივატიზაცია თვითმიზანი არ არის.** იგი მაღალეფექტიანი ეკონომიკის რაციონალური საბაზრო სტრუქტურების ფორმირების ნაცადი გზაა. სამწუხაროდ, იგი ჯერჯერობით ამ ფუნქციას არ ასრულებს (ეს კარგად გამოიკვეთა მიწების პრივატიზაციით, რომლის შედეგად მიწა და მისი მესაკუთრე პირისპირ აღმოჩნდნენ. მიწების ეფექტიანად გამოყენების ორგანიზაციული მექანიზმები არ მუშაობენ. მიწა — პრივატიზაციის შედეგი — მესაკუთრის ობიექტი — ეფექტიანობის ფაქტორი — გაცდა).

სახეზეა განვითარების საშიში სიმპტომიც — პრივატიზაციის დროშით ინგრევა ქვეყნის სამრეწველო და სამეცნიერო პოტენციალი, ძლიერდება ეკონომიკის კრიმინალიზაციის პროცესიც. პრივატიზაციის მიზანი უნდა ყოფილიყო თავისუფალი კონკურენციის პირობების შექმნა და არა სახელმწიფო მონოპოლიის შეცვლა კერძო საკუთრების მონოპოლიით. წარმოების მაღალი ეფექტიანობის მიღწევა და არა მისი ფაქტობრივად დანგრევა, სოციალური მიმართულების ეკონომიკის ფორმირებისათვის ხელის შეწყობა და არა ცალკეულ პირთა პირადი ინტერესებისადმი მისი დაქვემდებარება, საბაზრო გარემოსა და შესაბამისი მექანიზმების ფორმირება და არა მაფიოზური სტრუქტურების გაბატონება, მოქალაქის სამეურნეო აქტივობის ამაღლება და არა მისი დაბეჩავება, ნაცარქექიობისა და თათქარიძეობის გზაზე მისი დაყენება!

ეკონომიკური რეფორმების წარუმატებლობა მეტნაკლებად განსაზღვრა მეცნიერების როლის უგულვებელყოფამ, რეფორმებიდან მისმა განდგომამ. ეს მრავალმა მიზეზმა განაპირობა. მათ შორის უმთავრესია ორი მიზეზი: პირველი. მეცნიერება (განსაკუთრებით საზოგადოებრივი) მოუმზადებელი შეხვდა რადიკალური რეფორმის დაწყებას. ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა ქვეყნის ეკონომიკური გარდაქმნების მეცნიერულ პრინციპებს უგულვებელყოფდა. ამიტომ, სამეცნიერო პოტენციალის გამოყენების კონკრეტულ მექანიზმზე არავის უზრუნია. მეცნიერება „თავისთავის" დარჩა. მეორე. თვით მეცნიერებამ, მისი მართვის ორგანიზაციულმა სტრუქტურებმა ვერ შესძლეს თვისებრივი გარდაქმნის შინაგანი წყაროების მონახვა. გარედან „ბიძგის" წყარო კი არ აღმოჩნდა! ის, რომ ქვეყანას დღეს სახელმწიფოებრივი მშენებლობის მეცნიერულად (მაშასადამე, სწორად) გააზრებული ერთი მოდელიც არა აქვს, ადასტურებს იმას, რომ ქვეყნის მეცნიერების დიდი შესაძლებლობანი თითქმის გამოუყენებელია.

თვალსაზრისი

დღეს საქართველოს ეკონომიკის გამოლაში ცოდნის, მეცნიერების ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. იგი „ყველაფერია: ფულზეც, უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზეც უფრო მეტად სჭრის და ზარბაზნზედაც უფრო ძლიერია" (ილია ჭავჭავაძე. ტომი V, 1955 წ., გვ. 288). სამწუხაროდ, ქვეყანაში ვითარების მეცნიერული ანალიზისა და შეფასების გარეშე დაიწყო ეკონომიკური რეფორმები. ასევე დაშვებულ იქნა მეორე შეცდომაც. რეფორმებში რესპუბლიკის ეკონომიკის თავისებურებანი არ იქნა გათვალისწინებული, მხედველობიდან გამორჩათ ის, რომ „ადგილობრივი ბუნებისა და ხალხისა თუ არა იცის რა, იგი ამისთანა საქმეში, როგორც ახლის რისამე გასაჩენად შემოღებაა, ერთ ნაბიჯსაც უმარცხოდ ვერ გადადგამს" (ილია ჭავჭავაძე. თხზ. ტ. VII, 1956. გვ. 60).

საქართველოს ეკონომიკა დღეს იმ თვითმფრინავს შეიძლება შევადაროთ, რომელიც საფრენ ბილიკზე დგას, ტექნიკურად უწესივრო მდგომარეობაში აღმოჩნდა და ეკიპაჟის წევრებს შორის არ არის ერთიანი აზრი, როდის და საით გაფრინდნენ. ასეთ დროს, საშიშია ისევ ავანტიურისტებმა არ გაიტაცონ იგი! ეკონომიკური რეფორმა ადამიანისათვის ტარდება. მის კეთილდღეობას უნდა ისახავდეს მიზნად. კეთილდღეობა კი ცხოვრების ხარისხის ფილოსოფიას ემყარება და პრობლემათა მეტად რთულ სპექტრს მოიცავს. მაშასადამე, ადამიანი, პოლიტიკის ცენტრში დგას. სწორედ ეს, უპირველესად, პოლიტიკის მაღალ ზნეობრივ პრინციპებზე აშენებას გულისხმობს. პოლიტიკა და ზნეობა, ეს რთული მრავალწახნაგოვანი პრობლემაა. ჩვენ მხოლოდ ამ პრობლემის ზოგიერთ ასპექტს შევეხებით. **პირველი**, რამდენად ზნეობრივი არიან ისინი, ვინც ეკონომიკურ პოლიტიკას ამუშავებს და ნაჩქარევად ამბიციების გავლენით ახორციელებს ქვეყნის მთელი მოსახლეობის მიმართ? ყველაფერს საკუთარი სახელი უნდა დაერქვას. ეკონომიკური რეფორმების მოუმზადებლად დაწყება, რომელსაც ეროვნული ეკონომიკის მოშლა და ამის შედეგად ქვეყნის თითქმის მთელი მოსახლეობის გაღატაკება მოჰყვა, მაღალი ზნეობრიობის მაგალითად არ გამოდგება.

მეორე. როცა ეკონომიკური პოლიტიკა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების ნაცვლად, თავისი პასიურობით ხელს უწყობს ქონების (განსაკუთრებით სახელმწიფოს) ძარცვას, მატერიალური და სულიერი დოვლათის ძალის მეშვეობით გადანაწილებას, როცა პატიოსანი კაცი ყოველმხრივ შევიწროებულია, ადამიანი (მისი საკუთრება) კანონით დაცული არ არის, უნდა ვთქვათ, რომ დიდი უსამართლობაა, ამდენად, იგი ზნეობრივი არ შეიძლება იყოს.

მესამე. როცა ზოგიერთი საზოგადოებრივი გაერთიანება, ორგანიზაცია ვიწრო პოლიტიკური ზრახვების შესრულებისათვის მიმართავს კანონების დარღვევას, ფსიქოლოგიური დაწოლით სამეურნეო სუბიექტებსა და ფიზიკურ პირებს სახსრებს სძალავს, მხოლოდ ვიწრო ჯგუფურ ინტერესებს (პოლიტიკურს, ეკონომიკურს) იცავს, საერთოდ ადამიანებს მხოლოდ აბსტრაქტული ყურადღების ცენტრში აყენებს, ქრისტიანული მოქმედება არ არის, მაშასადამე, მორალურად გაუმართლებელია.

მეოთხე. როცა მამულიშვილი მოძალებული პირადი ანგარების გამო ქვეყნის ქონებას იპარავს, იტაცებს და მას თურქეთში (ან სხვაგან) რეალიზაციისათვის გაიტანს და ამგვარად სპეკულაციის გზით ნაშოვნ კაპიტალს ისევ საკუთარი ქვეყნის გაძარცვისათვის აბანდებს, როცა მამულიშვილი ხიდებს აფეთქებს, საწარმოებს, სკოლებს და სხვა ობიექტებს მწყობრიდან გამოჰყავს და ამით ეროვნულ ეკონომიკას დიდ ზარალს აყენებს, არც ერთ ენაზე, ამ მოქმედებას, ზნეობრივი არ შეიძლება ეწოდოს.

მეხუთე, როცა ხელისუფლებაში მყოფი კორუფციაში მყარად ზის, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისათვის ქრთამებს იღებს და ამით ხრწნის საზოგადოებას, ქმნის საშიშ მაგალითს, კეთილსინდისიერი შრომისა და სწავლისათვის მორალური საფუძვლების გამოსაცლელად, ყველაფერს ფულით ზომავს, პატიოსნებას ფულით თრგუნავს, და ამით აბეჩავებს ადამიანს, აკნინებს თანამემამულეს, აიძულებს მას ანგარების გზით იაროს, ფსიქოლოგიურად პიროვნებაში ცდილობს გაორებული კაცუნას აღზრდას „შალიმანიზმის" ბაცილით დაავადებული დოგმებითა და ხერხებით, ეს მოქმედება კეთილსინდისიერ მოქმედებად არ შეიძლება ჩაითვალოს!

მეექვსე, როცა სოციალურ-ეკონომიკური გარემო, ძალის უხეშად გამოყენების უსაზღვრო შესაძლებლობანი, თავისუფლებამოპოვებული ქვეყნის მოქალაქეს თავისუფლებას წარმოებაში, მოხმარებაში ვერ აზიარებს, დემოკრატიული გარდაქმნების სამართლიანობა ეჭვის ქვეშაა. მაშასადამე, დგება მის მიმართ ნდობის საკითხი. ნდობის გარეშე კი რწმენა არ არის. რწმენის გარეშე ხომ ადამიანი არ შეიძლება სრულყოფილი იყოს.

მეშვიდე, როცა პოლიტიკური მოღვაწე პოპულისტურ პრინციპზე აგებს თავის „სტრატეგიას", მოუწოდებს სამეურნეო სუბიექტებს გაფიცვებისა და ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის განმსაზღვრელი საწარმოების პარალიზებისაკენ, როცა პრობლემას არ იცნობს და მომგებიან, ზოგჯერ გახუნებულ პოლიტიკურ ლოზუნგს ამოფარებული, იმ საკითხის ირგვლივ, რომელიც საერთოდ არც იცის, „ჭიქა წყალში ქარიშხალს" ამზადებს, მისი ყოველი აზრი, რაც ცხოვრებასთან შეხებისას იმსხვრევა, ირეალურია, უზნეობის მაგალითია მხოლოდ!

ყოველივე ეს ეკონომიკური რეფორმების განხორციელების ნეგატიური ფონის, გარემოს არსებობაზე მიუთითებს. ეს შეიძლება განვიხილოთ, როგორც რეფორმების რთული პროცესის თანმხლები გვერდითი მოვლენა, ასევე რეფორმების წარუმატებლობის ლოგიკური შედეგიც.

ეკონომიკური რეფორმის მიმდინარეობის რთული პროცესების ზემოთ მოცემული ანალიზი-შეფასება პირდაპირ აყენებს საკითხს ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლის აუცილებლობის შესახებ.

როგორი უნდა იყოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ეტაპზე ეკონომიკური პოლიტიკა? ჩვენს მოსაზრებებს უახლოეს პერიოდში გავაცნობთ საზოგადოებას.

ნოდარ ჭითანავა.

ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი.

დასასრული, დასაწყისი იხ. „სრ" № 162, 163.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ შევუთავსოთ ერთმანეთს ბენზინი და კუპონი?

საგანგებო ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე

სიტყვები „ბენზინი", „კუპონი", სხვებზე ხშირად გაისმოდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან შექმნილი საგანგებო ეკონომიკური საბჭოს მორიგ სხდომაზე. 27 ივლისს **ედუარდ შევარდნაძის** თავმჯდომარეობით გვიან ღამემდე გრძელდებოდა ენერგეტიკული კრიზისიდან რესპუბლიკის გამოყვანის, ეროვნული ფულის საკრედიტო სისტემის ფორმირების შესაძლო გზების ძიება. ამის თაობაზე აზრი გამოთქვეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **თენგიზ სიგუამ**, რესპუბლიკის ვიცე-პრემიერებმა **რომან გოცირიძემ** და **ზურაბ კერვალიშვილმა**, საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილემ **ვახტანგ რჩეულიშვილმა**, ქალაქ თბილისის მერმა **კოტე გაბაშვილმა**, რესპუბლიკის მინისტრებმა, უწყებათა ხელმძღვანელებმა.

შეკრებილები ერთსულოვანი იყვნენ იმაში, რომ აფხაზეთში ომის შეწყვეტა შეამსუბუქებს ეკონომიკის მდგომარეობას, გამოათავისუფლებს მნიშვნელოვან სახსრებს წარმოების კრიზისის დაძლევისათვის. რესპუბლიკის ცხოვრების ახლანდელი რთული პერიოდი დაემთხვა საბჭოთა ფულის გაუქმების პროცესს, საქართველოს ეროვნული ბანკის, კუპონის, როგორც ერთადერთი საგადასახადო საშუალების მომავალი ბრუნვის პროცესს. ამასთან დაკავშირებით, განიხილეს საამისოდ საჭირო საშუალებათა მთელი კომპლექსი. აღინიშნა, რომ ბოლო დროს, განსაკუთრებით რუსეთის ცენტრალური ბანკის მიერ დაწყებული აქციის ფონზე, კუპონისადმი ნდობა რამდენადმე გაიზარდა.

მაგრამ ქვეყნის მთავარ ვალუტად კუპონის დამკვიდრების გზაზე უნდა განხორციელდეს კიდევ მთელი რიგი მკაცრი ეკონომიკური და ადმინისტრაციული ღონისძიებანი კუპონის განსამტკიცებლად, თქვეს ორატორებმა და მაგალითად მოიყვანეს ბალტიის ქვეყნების, უკრაინის გამოცდილება. ამას პასუხად მოჰყვა ოპონენტთა რეპლიკები: „ნუთუ კვლავ უნდა დავუბრუნდეთ ადმინისტრირებას ეკონომიკაში?", „სანამ მკაცრი სანქციების პრაქტიკას განვახორციელებდეთ, უნდა ვიფიქროთ სამართლებრივი, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისათვის". თუმცა, მოგვიანებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ საჭიროა ეკონომიკური ფაქტორების უფრო ეფექტიანი ზემოქმედება და ამიტომ, მართლწესრიგის გუშაგები ყოველთვის თავის სიმაღლეზე უნდა იდგნენ. ახლა საჭიროა მკაფიო და ყველასათვის გასაგები ენით ჩამოყალიბდეს შესაბამისი დოკუმენტების ძირითადი დებულებები, ინსტრუქციები მომავალი სავალუტო რეჟიმის შესახებ, რეალურად გამოვიყენოთ თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის შესაძლებლობანი. ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ხელი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მეწარმეთა სახსრების გადარიცხვის პრაქტიკის დეცენტრალიზაციას, შევუქმნათ მათ მფლობელებს სათანადო პირობები რესპუბლიკაში და არა რუსეთის პარტნიორების ანგარიშებზე ვალუტის უსაფრთხო და სარგებლიანი შენახვისათვის.

სხდომაზე დაისვა საკითხი ბრუნვიდან გამოსული მანეთის აკუმულაციისა და ამ ფულით ნავთობპროდუქტების შეძენის შესაძლებლობის შესახებ. ახლა თუ ისე, საწვავის მწვავე ნაკლებობა საფრთხეს უქმნის საარსებო მნიშვნელობის ობიექტების საქმიანობას, რომ აღარაფერი ვთქვათ, სამრეწველო საწარმოებზე.

ძლის მოხერხებული კომერსანტები მოითხოვენ და ღებულობენ კიდეც ავტოტრანსპორტის მძღოლებისაგან ბენზინის საზღაურად ამერიკულ დოლარებს. მაგრამ რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ასეთი პრაქტიკა? 8 აგვისტოდან კუპონის, როგორც საქართველოში ერთადერთი საგადასახადო საშუალების ფუნქციონირების დაწყების შემდეგ ეს უნდა შეწყდეს. დიახ, თავდაპირველად ბენზინის ფასი უჩვეულოდ მაღალი იყო კუპონის გამოსახულებით, შემდეგ, მას თავად ცხოვრება, საბაზრო ურთიერთობა მოაწესრიგებს.

სხვათა შორის, საწვავის მარაგის, ქვეყნის ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეზერვი კვლავ არის ენერგომატარებლების ტრანზიტის პროცესის უნარიანი მართვა, სატრანზიტო ტვირთის ტრანსპორტირება. მაგრამ საკითხთა ცვლილებების მთავარი პირობაა საკუთარი წარმოების გამოცოცხლება, ის რომ შევბრუნდეთ პირით რეალური საქონლის მწარმოებლისაკენ, შევეცადოთ ჩავწვდეთ მის სიძნელეებსა და დავეხმაროთ მათ დაძლევაში. მით უმეტეს, ხაზგასმით აღინიშნა სხდომაზე, რეალურად მომუშავეთა რიცხვი არ აღემატება რესპუბლიკის მოსახლეობის 25 პროცენტს, დანარჩენები, გარემოებათა გამო, გადაიქცნენ მომხმარების საზოგადოებად, და ამ დროს ცალკეული თანამდებობის პირები სულ უფრო ხშირად მიმართავენ პოპულიზმს, დემაგოგიას, მაშინ, როცა, საცაა გაჩერდება ენერგეტიკის ობიექტები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

სხდომაზე ერთ-ერთ გზად დასახელეს უცხოური კრედიტების უფრო ეფექტიანი გამოყენება. მათ გამოყოფაზე უნდა იფიქრონ არა მარტო სახელმწიფოს მეთაურმა ან პრემიერ-მინისტრმა, არამედ დანარჩენმა მინისტრებმაც, სამეურნეო ხელმძღვანელებმა, ისევე, როგორც უნდა იფიქრონ საექსპორტო პოტენციალის, რესპუბლიკის სავალუტო ფონდის განმტკიცების შესახებ.

ეკონომიკურ საბჭოზე გადაწყდა, შეიქმნას სპეციალური კომისია, სამუშაო ჯგუფი, რათა განხორციელდეს ოპერატიული ღონისძიებანი წარმოების სფეროში არსებული სიძნელეების დაძლევის, ფულის საკრედიტო პოლიტიკაში ცვლილებებისათვის.

სიმართლე კი ასეთია

რა უთქვამთ, რა მოუჩმახავთ, რა წიგნი მოუწერიათ...

გაზეთმა „საქართველოს სამრეკლომ" ამას წინათ (8 ივლისი, № 28) მკითხველს სენსაციური ცნობა მიაწოდა სათაურით „ევროპარლამენტმა არ მიიღო „დიდი პოლიტიკოსი". მასში ნათქვამია, რომ „ამას წინათ ევროპაში ყოფნისას, ე. შევარდნაძეს დაგეგმილი ჰქონდა ეწვეოდა ევროპარლამენტს (ქ. სტრასბურგი), მაგრამ იგი იძულებული გახდა ხელი აეღო განზრახვაზე", რადგან, თურმე „პარლამენტართა უმრავლესობამ უარი თქვა მიეღო დიქტატორი, რომელმაც საკუთარი ხალხის წინაშე ჩაიდინა დანაშაული..." ინფორმაციას ხელს აწერს „საქართველოს დევნილი უზენაესი საბჭოს პრესსამსახური" (25. 06. 1993 წ.).

გაზეთმა „იბერია-სპექტრმა" 28 ივლისის ნომერში კი დაბეჭდა „საქართველოს ჰელსინკის კავშირის გამგეობის მიმართვა ევროპარლამენტისადმი". მიმართვის ავტორები მადლობას უხდიან ევროპარლამენტს ადამიანის უფლებათა, ჰუმანიზმისა და დემოკრატიის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების ერთგულებისათვის, რომლის ერთ-ერთ გამოვლინებადაც მიაჩნიათ „ამას წინათ ევროპარლამენტართა მიერ საქართველოს დღევანდელი ერთმმართველი ე. შევარდნაძის სტრასბურგში მიღებაზე უარის თქმა".

„საქართველოს სამრეკლომ" და „იბერია-სპექტრმა" ეს „მხილება" ყოველგვარი კომენტარის გარეშე დაბეჭდეს, ასე ვთქვათ, „ფაქტის კონსტატაციით" დაკმაყოფილდნენ, დასკვნების გამოტანა თვით მკითხველს მიანდეს და ამით ხალასი სიმართლის უტყუარობას გაუსვეს ხაზი.

მაგრამ სიმართლე ის არის, რომ ამ „სიმართლეში" ერთი სიტყვაც კი არ არის მართალი.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა წლეულს ევროპარლამენტისაგან მრავალგზის მიიღო მიპატიჟება, წერილობითაც და ტელეფონითაც. მაგრამ სტრასბურგში ბატონ ედუარდ შევარდნაძის ვიზიტის განხორციელება, ჩვენში შექმნილი ვითარების გამო, არა და არ მოხერხდა.

უკანასკნელად მიპატიჟება 1993 წლის 8 ივნისს გამოიგზავნა. აი, მისი ფოტოასლი და თარგმანი:



Dear President

Following a decision of the Enlarged Bureau of the European Parliament, I would like to extend to you an official invitation to address the plenary session of our Institution on 14 July 1993 in Strasbourg.

If it is your intention to arrive in Strasbourg on Tuesday 13 July, I would be honoured to host a dinner to mark this occasion.

I am sure that your visit will be an exceptional occasion to inform members of the European Parliament about the present situation in Georgia and will contribute to the strengthening of mutual relations.

Yours sincerely

(Dr. Egon A KLEPSCH)

ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს.

პატივცემულო პრეზიდენტო, ევროპარლამენტის გაფართოებული ბიუროს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, მსურს გადმოგცეთ ოფიციალური მოწვევა — სიტყვა წარმოთქვათ ევროპარლამენტის პლენარულ სესიაზე სტრასბურგში 1993 წლის 14 ივლისს.

თუ გადაწყვეტთ სტრასბურგში ჩამობრძანებას, 13 ივლისს პატივი მექნება სადილი გავმართო ამ მოვლენის აღსანიშნავად.

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი ვიზიტი განსაკუთრებული საშუალება იქნება ევროპული პარლამენტის წევრების ინფორმირებისთვის საქართველოში სიტუაციის შესახებ და ხელს შეუწყობს ორმხრივი ურთიერთობების განმტკიცებას.

პატივისცემით, დოქტორი ეგონ ა. კლეპში.

როგორც ხედავთ, ჩვენი ქვეყნის მეთაურს დიდი პატივისცემით ეპატიჟებიან ევროპარლამენტში და საზეიმო მიღებასაც ჰპირდებიან. აქვე გაგაცნობთ ბატონ ე. შევარდნაძის პასუხს (18. 06. 1993 წ.).



Dear Mr.President,

It was with great pleasure that I received your invitation to visit Strasbourg and to inform the members of the European Parliament of the present situation in Georgia. And the situation really merits attention of the world community. What I have in mind is the practically destroyed economy and the prolonged war in Abkhazia, brought about by radical separatism. Therefore it is very important for us to have the opportunity to share our views with the members of the European Parliament and hear their opinion on the above issues.

Unfortunately, my visit to Strasbourg at the proposed time will not be possible due to the extremely tight schedule at home and the visits to neighbouring countries that had been planned a few months earlier.

At the same time may I assure you that addressing the European Parliament and exchanging views with its deputies is very significant to us and we cannot overlook this opportunity. It is my hope that our visit to Strasbourg will still take place at a time convenient both to us and highly esteemed members of the European Parliament.

Please accept the assurance of my highest consideration.

Sincerely,
Eduard Shevardnadze.

მის აღმატებულებას დოქტორ ეგონ კლეპშს, ევროპარლამენტის თავმჯდომარეს.

პატივცემულო ბატონო თავმჯდომარევ, დიდი კმაყოფილებით ავიღე თქვენი მოწვევა სტრასბურგში და წინადადება — გავეცნო ევროპარლამენტის წევრებისთვის დღევანდელი სიტუაცია საქართველოში. ეს მდგომარეობა კი იმგვარია, რომ ნამდვილად იმსახურებს მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღებას. მხედველობაში მაქვს საქართველოს პრაქტიკულად განადგურებული ეკონომიკა და გაჭიანურებული ომი აფხაზეთში, რომელიც შედეგია რადიკალური სეპარატიზმისა. ამდენად, ცხადია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იქნებოდა ჩვენთვის შესაძლებლობა, ჩვენი მოსაზრებები გაგვეზიარებინა ევროპარლამენტის წევრებისთვის და მათი აზრი მოგვესმინა ამ საკითხებთან დაკავშირებით.

სამწუხაროდ, თქვენს მიერ შემოთავაზებულ ვადებში ჩვენი სტრასბურგში სტუმრობა ვერ მოხერხდება იმის გამო, რომ რამდენიმე თვით ადრე ამავე ვადებში დაგეგმილი იყო ვიზიტები ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებში. ამასთან ერთად, ნება მიბოძეთ დაგარწმუნოთ, რომ ევროპარლამენტში გამოსვლა და ევროპარლამენტის დეპუტატებთან აზრთა ურთიერთგაზიარება ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია და ამ შესაძლებლობის უგულებელყოფა ჩვენი მხრიდან ძალზე არასასურველი იქნებოდა. იმედს ვიტოვებ, რომ ჩვენი სტრასბურგში ვიზიტი მაინც შედგება, როგორც ჩვენთვის, ასევე პატივცემული ევროპარლამენტის წევრებისთვის ორმხრივად მისაღებ ვადებში.

ნება მიბოძეთ, დაგიდასტუროთ თქვენ, ბატონო თავმჯდომარევ, და პატივცემულ ევროპარლამენტის წევრებს ჩემი უღრმესი პატივისცემა.

გულწრფელად თქვენი, ედუარდ შევარდნაძე.

დიახ, არ მოხერხდა ბატონ ედუარდის სტრასბურგში ჩასვლა, როგორც დარწმუნდით, მისი უკიდურესი მოუცლელობის გამო და არა იმიტომ, რომ ევროპარლამენტის წევრმა „უარი თქვეს დიქტატორის მიღებაზე".

სამწუხაროა, რომ ჩვენში წესად იქცა ოპოზიციური დაპირისპირების უკადრის ხერხებზე, სიცრუესა და ჭორებზე დაფუძნება. ეს არ არის პატიოსანი პოლიტიკური ბრძოლა.

ამ კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით კი „საქართველოს დევნილი უზენაესი საბჭოს პრეს-სამსახურისა" და „საქართველოს ჰელსინკის კავშირის გამგეობის" მისამართით არ შეიძლება არ გაგახსენდეს სულმნათი შოთას სიტყვები: „რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია..."

გამოსცა პროკურატურამ

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის გრიფით გამოვიდა მეცნიერული შრომების კრებული „სასამართლო ბალისტიკის პრობლემები". ეს პირველი წიგნია, რომელიც პროკურატურამ თავისი არსებობის ისტორიაში გამოსცა.

კრებულის პასუხისმგებელი რედაქტორია რესპუბლიკის პროკურატურის პროკურორ-კრიმინალისტი, იუსტიციის მრჩეველი გია ბახტაძე. წიგნში განხილულია უცხოეთსა და ჩვენს ქვეყანაში სასამართლო ბალისტიკის სფეროში მეცნიერულ-ექსპერიმენტული კვლევების და გამოგონების შედეგად მიღწეული მნიშვნელოვანი სიახლენი. გამოცემა გათვალისწინებულია წინასწარი გამოძიების, მოკვლევის, მოსამართლეების, ექსპერტ-კრიმინალისტების და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებისათვის, ასევე იურიდიული პროფილის სასწავლო დაწესებულებების სტუდენტებისათვის, მსმენელებისათვის.

პროკურატურის სასჯელთა აღსრულებისას კანონების დაცვაზე ზედამხედველობის განყოფილებამ გამოსცა აგრეთვე მეთოდური მითითება შრომა-გასწორების დაწესებულებებში, ციხეებსა და საგამოძიებო იზოლატორებში კანონების დაცვის საკითხებზე.

ამჟამად წარმოებაშია და დაინტერესებული მკითხველი მალე მიიღებს რესპუბლიკის პროკურატურის კრიმინალისტიკური განყოფილების უფროსის, იუსტიციის უფროსი მრჩევლის ვარლენ სიმონიშვილის მიერ შედგენილ მეცნიერული შრომების კრებულს „საპროკურორო-საგამოძიებო და სასამართლო-საექსპერტო პრაქტიკის პრობლემები".

გამოსაცემად მზადდება აგრეთვე სხვადასხვა დებულებები, საკანონმდებლო აქტები, უცხოეთის ქვეყნების პროკურატურებთან დადებული ხელშეკრულებები.

პროკურატურის პრესცენტრი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ამერიკის შეერთებულ შტატებში — საერთაშორისო სერტიფიკატით

ქალაქ ატლანტის ჯორჯიის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ის საკითხიც, რომ მხარი დაუჭიროს საქართველო-ამერიკის სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის საქმიანობას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და დაგეგმვის მაგისტრთა მომზადების საქმეში. ცენტრის პრეზიდენტმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გივი სანაძე მიიწვია ატლანტაში მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხების განსახილველად.

— გაიმართა მაგისტრატურის პირველი გამოშვება, უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს გ. სანაძემ. დიპლომების დაცვა მიმდინარეობდა ინგლისურ ენაზე ამერიკელ სპეციალისტთა მონაწილეობით. ათმა კურსდამთავრებულმა მიიღო საერთაშორისო სერთიფიკატი და ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრების შესაძლებლობა, სადაც ისინი სტაჟირებას გაივლიან სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში, ფირმებში და წარმოებაში. მიმდინარე სასწავლო წლიდან, კოლეჯის გარდა, რომელიც უკვე წელიწადია არსებობს და აქვს უმაღლესი სასწავლებლის სტატუსი, ხსნის ორ კლასს საშუალო სკოლების უფროსკლასელთათვის. ისინი ჩაირიცხებიან გასაუბრების შემდეგ. წარმატებით ჩაიარა მისაღებმა გამოცდებმა კოლეჯში. იქ სწავლების უფლება მიიღო 80 აბიტურიენტმა.

სამეცნიერო-სასწავლო ცენტრი ამზადებს ახალი ტიპის კვალიფიციურ სპეციალისტებს. შეიძლება ითქვას — უფასოდ, რადგან საზღაური კუპონებით პრაქტიკულად მთლიანად ხმარდება სახელმძღვანელოების შეძენას. მნიშვნელოვან მატერიალურ დახმარებას უწევენ ამერიკელი კოლეგები. მიმდინარე თვის დამლევს მოელიან სპეციალისტების ჩამოსვლას ჯორჯიის უნივერსიტეტიდან. ისინი კურსდამთავრებულებს გადასცემენ საერთაშორისო სერტიფიკატებს მაგისტრთა ხარისხის მინიჭების შესახებ, აგრეთვე მონაწილეობას მიიღებენ ქართველ მეცნიერთა გამოკვლევებში, წავლენ ექსპედიციებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, რათა შეისწავლონ აგრო-ეკოსისტემათა სტაბილურობა.

იმპერია ჯერ არ გამქრალა

იაპონიის „იომიურიმ" გამოაქვეყნა ლონდონის შეიარაღებული ძალებისა და თავდაცვის საკითხთა ინსტიტუტის კვლევითი განყოფილების გამგის ჯ. აილის ინტერვიუ, რომელმაც პოლიტიკური შეფასებანი მისცა რუსეთის მოქმედებას.

კითხვა: თქვენ ამტკიცებთ, რომ რუსეთის იმპერია ჯერ არ გამქრალა. რით ასაბუთებთ ასეთ მოსაზრებებს?

პასუხი: დასავლეთის სადაზვერვო ორგანოებმა და მთავრობებმა იციან, რომ საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, შუა აზიაში მიმდინარე შეტაკებებს მოსკოვი აჩაღებს. ამის ყველაზე თვალსაჩინო დადასტურება ის არის, რომ მეამბოხეთა ძალები სარგებლობენ უკეთესი იარაღით, ვიდრე მთავრობის ჯარები. რუსეთის მთავრობას ჯერ ყოფილი კავშირის არც ერთ სახელმწიფოსთან არ მოუწერია ხელი შეთანხმებისათვის იქ დისლოცირებული რუსეთის ჯარების გაყვანის შესახებ. რუსეთის გენერლები უნებართვოდ დადიან ამ ქვეყნებში, თუმცა ისინი ოფიციალურად რუსეთისათვის საზღვარგარეთულ სახელმწიფოებს წარმოადგენენ.

კითხვა: ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნებს შორის სად ხდება კონფლიქტები, რომელი სახელმწიფოა ყველაზე საშიში უშიშროების უზრუნველყოფის თვალსაზრისით?

პასუხი: სრულიად უეჭველია, უკრაინა. დასავლეთმა სერიოზულად ვერ აღიქვა უკრაინის პრობლემა და სერიოზული შეცდომა დაუშვა. ყველა ქვეყანა იწვევს პრეზიდენტ ელცინს და სთავაზობს მას დახმარებას, მაგრამ არც ერთი სახელმწიფო არ იწვევს პრეზიდენტ კრავჩუკს. ხოლო, როცა უკრაინამ განაცხადა, რომ სურს კვლავაც იქონიოს ბირთვული იარაღი, ყველამ გაოცება გამოთქვა. მაგრამ სწორედ ბირთვული შეიარაღებაა ერთადერთი საშუალება მისი უშიშროების უზრუნველყოფისათვის. შემდგომში, ეტყობა, დიდხანს გაგრძელდება თამაში, რომლის დროსაც რუსეთი დაემუქრება უკრაინას და მოითხოვს მისგან უარი თქვას ბირთვულ საშუალებებზე, ეს უკანასკნელი კი ჯიუტად უარს იტყვის ამაზე.

კითხვა: რის გაკეთება შეუძლია დასავლეთს რუსეთის იმპერიის აღორძინების თავიდან ასაცილებლად?

პასუხი: დასავლეთმა რუსეთისათვის ეკონომიკური დახმარების გაწევისას უნდა წამოაყენოს შესაბამისი პირობები (უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში თანამშრომლობის თვალსაზრისით), კერძოდ, დაავალოს მას მკაფიოდ აღნიშნოს ყოფილი სსრ კავშირის სხვა ქვეყნებიდან რუსეთის ჯარების გაყვანის ვადები. მას უნდა გააგებინოს, რომ არ შეიძლება ჯარების გაგზავნა ნებისმიერ ადგილას (ყოფილი სსრ კავშირის ფარგლებში) და ისე მოქმედება, თითქოს ეს ქვეყნები მისი გავლენის ზონაში იმყოფებოდნენ. **ახლა საჭიროა, რომ რუსეთმა სამშვიდობო ურთიერთობა დაამყაროს ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან, მაგალითად, დადოს სასაზღვრო ხელშეკრულება იაპონიასთან.** დასავლეთმა არ უნდა აიძულოს იაპონიას დადუმება ჩრდილოეთის ტერიტორიების პრობლემაზე.

კითხვა: როგორ აფასებთ რუსეთის მიმართ კლინტონის ადმინისტრაციის პოლიტიკას?

პასუხი: ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი შეცდომა ის არის, რომ იგი, ხაზს უსვამდა რა რუსეთისათვის დახმარების გაწევის აუცილებლობას, აღნიშნავდა კომუნიზმის აღორძინების საფრთხეს. მაგრამ კომუნიზმის აღორძინების შესაძლებლობა გამორიცხულია. კლინტონის ადმინისტრაციას მეტისმეტად გაიდეალებული, არარეალისტური პოზიცია უჭირავს. აქამდე იგი მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მოსკოვთან ურთიერთობას. ახლა მან ყურადღება მიაქცია უკრაინასაც, მაგრამ ეს მეტისმეტად დაგვიანებულია. ელცინის პოლიტიკაში არის დასავლეთის ინტერესებისადმი სრულიად წინააღმდეგობრივი მომენტები, ამერიკა-რუსეთის უმაღლესი დონის მოლაპარაკებაზე ვანკუვერში გამოვლინდა მცდარი მიდგომა, რომელიც იმას გულისხმობს, რომ, თუ რუსეთს აქვს პრობლემები, უნდა მიეცეს მას ფული და ყველაფერი კარგად იქნება. მაგრამ, სინამდვილეში მრავალი პრობლემა გადაუჭრელი დარჩა.

ეკონომიკური ინტეგრაციის გასაღრმავებლად

უკრაინის მთავრობამ შექმნა სამუშაო ჯგუფი უკრაინა-რუსეთ-ბელორუსის ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეკრულების პროექტის მოსამზადებლად. კიევში მას მხარი დაუჭირეს რესპუბლიკის უმსხვილეს საწარმოთა დირექტორებმა. ბელორუსის მთავრობის თავმჯდომარის ვიაჩესლავ კებიჩის აზრით, მოსკოვში სამი სახელმწიფოს პრემიერების ხელმოწერილი განცხადება ახალ სტიმულს შემატებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ინტეგრაციის გაღრმავებას, გამოააშკარავებს თუ რომელ მათგანს სურს ჭეშმარიტად მონაწილეობდეს ეკონომიკურ კავშირში. კებიჩმა უარყო მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთი საშუალების მტკიცება, რომ სამთა განცხადება დაუპირისპირეს ყოფილი საბჭოთა კავშირის შუა აზიის რეგიონის სახელმწიფოთა და მთავრობათა ამასწინანდელ შეხვედრას თურქეთში.

მარშალ ევგენი შაპოშნიკოვის ინტერვიუ

მოსკოვის ტელევიზიით გამოსვლისას რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა, მარშალმა შაპოშნიკოვმა განაცხადა, რომ შემუშავებულია რუსეთის ხელმძღვანელობის მოქმედების რამდენიმე ვარიანტი. ტაჯიკეთ-ავღანეთის საზღვარზე შექმნილი აფეთქებასაშიში სიტუაციის მოწესრიგების ყველაზე უფრო მისაღებ ვარიანტად მას მიაჩნია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოებთან ერთად საზღვრის გამაგრება-დაცვა, ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით ფართომასშტაბიანი მოლაპარაკება ტაჯიკეთ-ავღანეთის სიტუაციის მოსაგვარებლად.

სპიკერის გამოსვლა

რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ რუსლან ხასბულატოვმა მოსკოვში, ყველა დონის საბჭოების ხელმძღვანელების თათბირზე გამოსვლისას განაცხადა, რომ უზენაესი საბჭო გეგმავს, მიიღოს კონსტიტუციის პროექტი სახალხო დეპუტატთა მორიგ ყრილობაზე მიმდინარე წლის ნოემბერში. პარლამენტის თავმჯდომარემ დასვა საკითხი ქვეყანაში უმაღლესი თანამდებობის პირი — პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაურად გამოაცხადონ, ხოლო უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება მთლიანად დაეკისროს მთავრობას, რომელიც თავის მხრივ, უნდა ინიშნებოდეს პარლამენტის მიერ. ხასბულატოვმა დასაშვებად მიიჩნია, შეიტანონ კონსტიტუციაში პრეზიდენტის არჩევნების ახალი წესი — მისი არჩევა რუსეთის რესპუბლიკებისა და ოლქების მეთაურების მიერ.

მარიო რაფაელი მოითხოვს

მთიანი ყარაბაღის მოწესრიგების მინსკის კონფერენციის თავმჯდომარემ მარიო რაფაელიმ დაგმო სომეხთა ფორმირებების შეტევა აზერბაიჯანის ქალაქ აგდამზე, მოითხოვა საომარი მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჯარების გაყვანა. აგდამის ხელში ჩაგდება, — აღნიშნა რაფაელიმ, — არის მთიანი ყარაბაღის სომხური თემის ლიდერების მიერ ნაკისრი ვალდებულების აშკარა დარღვევა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, რუსეთის ხელმძღვანელობა დიდ შეშფოთებას გამოთქვამს სომეხთა მხრივ ასეთი მოქმედებით. დაგმო ეს მოქმედება, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. სომეხთა მხარე აღნიშნავს, რომ აგდამი იყო ის ერთადერთი პუნქტი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, საიდანაც გრძელდებოდა მთიანი ყარაბაღის მთავარი ქალაქის სტეპანაკერტის საარტილერიო დაბომბვა.

კვირას აზერბაიჯანისა და მთიანი ყარაბაღის თავდაცვის მინისტრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის საბრძოლო მოქმედების მთელ ფრონტზე ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

დახმარებას საჭიროებენ

რუსეთიდან სამაგრი მასალების მიღების შედეგად საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის" მაღაროთა სამმართველოებში კვლავ ამუშავდა. მაგრამ საყოფაცხოვრებო პირობების მოუგვარებლობის გამო მალე შეწყდა მანგანუმის მოპოვება. მღვიმევის მაღაროთა მშრომელებმა კი უფრო გონივრული ნაბიჯი გადადგეს. საწარმოს მახლობლად მცხოვრები მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსებისაგან მათ ჩამოაყალიბეს ერთი ცვლა, რომლის წევრებიც შუადღისას სახლებში მიდიოდნენ და სადილობდნენ, შემდეგ კი კვლავ მაღაროებს მიაშურებდნენ ხოლმე და ნაყოფიერად შრომობდნენ.

მაგრამ ახლა ხსენებული ცვლის მუშებიც აღარ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ამის მიზეზი ის არის, რომ მუშებს, როგორც იტყვიან, ხელ-ფეხი შეუკრეს: ჯერ მადნის მოსანგრევი ჩაქუჩისათვის ჰაერის მიმწოდებელი გამოურთეს, მერე საპოხი მასალების მიწოდება ვერ უზრუნველყვეს.

მიზნისკენ მიმავალ გზაზე ჭიათურელებს გადაულახავ ზღუდედ მოევლინა რუსეთის სხვადასხვა რეგიონებიდან ელმავლების, მადნის გადასაზიდი ვაგონებისა და მათი სათადარიგო ნაწილების მოუწოდებლობა.

მაღაროელთა ერთსულოვანი მოთხოვნა — დაუყოვნებლივ დაიდოს ხელშეკრულება ელმავლების, ვაგონებისა და მაღაროთა ჭერის გამაგრებისათვის ხე-ტყის მოწოდების თაობაზე — კვლავ რჩება ხმად უდაბნოსა შინა.

საქმე იმითაც რთულდება, რომ ამ ბოლო დროს გახშირდა ელექტროენერგიის გადამცემი საკონტაქტო ქსელის აჭრისა და გატაცების შემთხვევები. მაგალითად, კვალიფიციურ სპეციალისტთა დასკვნით წლეულს ხელცივა კაცუნებმა მაღაროებსა და მადნის გადამამუშავებელ ფაბრიკებში აჭრეს და შავ ბაზარზე მამასისხლად გაყიდეს 4,5 კილომეტრი საკონტაქტო ხაზი, რითაც მანგანუმის მოპოვების საქმეს დიდი ზიანი მიადგა.

საქინფორმი

სპეკულაცია ეკოლოგიის პრობლემებით?!

რამდენიმე შეკითხვა „მწვანეთა" პარტიის სპიკერს ზურაბ ჟვანიას

ამას წინათ გავეცანი „მწვანეთა" ორ განცხადებას რესპუბლიკის გაზეთებში (ორივეგან გაზეთების პირველ გვერდზე) — „მწვანეთა" პრესსამსახურის („ივერია-ექსპრესი" 1993 წ. 15 ივლისი) და საქართველოს პარლამენტის „მწვანეთა" ფრაქციის („საქართველოს რესპუბლიკა" 1993 წ. 16 ივლისი).

პირველი განცხადებიდან ჩემი ყურადღება მიიპყრო შემდეგმა მომენტებმა:

— წლევანდელი 13 ივლისის გაზეთ „ივერია-ექსპრესში" გამოქვეყნებულა „ქარტია-91"-ის წევრის (როგორც შემდგომ გაირკვა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის, რაც რატომღაც (?) განცხადებაში არ არის მითითებული) ბატონ ირაკლი კობიძის პასკვილი (!) საკმაოდ ორიგინალური სათაურით — „მწვანე ჭირის" სიმპტომები საქართველოში, ანუ გაწბილებული ამომრჩევლის წუხილი";

— ხსენებული წერილის „შეთხზვა" თურმე მხოლოდ უაზრო პარტიული კინკლაობის წამოწყების ახალი მცდელობა ყოფილა და სხვა არაფერი;

— პასკვილი, რომელშიც გარემოს დაცვის საქმეს და მსოფლიო ეკოლოგიურ მოძრაობას ჭირად ნათლავენ, თურმე არ იმსახურებს გარჩევას და პასუხს;

— თურმე ამ პასკვილთან დაკავშირებით საქართველოს „მწვანეები" სასამართლოში შეიტანენ სარჩელს წერილის ავტორის მიმართ.

მეორე განცხადებაში გამოვყოფდი შემდეგ მომენტებს:

— მინისტრთა კაბინეტში თურმე შექმნილია ისეთი დამოკიდებულება გარემოს დაცვის სამინისტროს მიმართ, რომლის შედეგადაც ამ უწყების ფუნქციონირება ფაქტობრივად შეუძლებელი გახდარა;

— მინისტრი (ბატონი შ. ადამია) თურმე არ კარგავდა იმედს, რომ შესძლებდა აუცილებელი ღონისძიებების გატარებას გარემოს დაცვის დარგში;

— ამგვარი დამოკიდებულება მწვანეების ერთ-ერთი დამფუძნებლის, მწვანეთა პარტიის წევრის შოთა ადამიას მიმართ, თურმე ყოფილა მორიგი გალაშქრება მწვანეების წინააღმდეგ.

გულახდილად ვიტყვი: მეტად დამაინტერესა „მწვანეთა" ამ ორმა განცხადებამ. დამაინტერესა იმანაც, თუ რა გამოაქვეყნა მაინც გაზეთ „ივერია-ექსპრესში" ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ბატონმა ი. კობიძემ: მეცნიერის წერილი თუ მართლაც „პასკვილი"? ასე რომ, გარკვეული სკეპტიკური განწყობით გავეცანი ბატონ ი. კობიძის საგაზეთო სტატიას. ამასთან, ერთხელ კიდევ გავაანალიზე საქართველოს „მწვანეების" მოღვაწეობა, მათი გუშინდელი „საქმენი-საგმირონი", დღევანდელი „საქმენი-საქებარნი".

თავიდანვე მინდა განვაცხადო: თუკი „პასკვილი" ნიშნავს — ცილისმწამებლურ, შეურაცხმყოფელ ნაწარმოებს, ი. კობიძის წერილს არაფერი არ აქვს საერთო „პასკვილთან". ეს არის მოქალაქეობრივი პათოსით და მეცნიერული ტაქტით შეჯერებული, გადმოცემული საქართველოსა და მისი ბუნების ნამდვილი გულშემატკივარი კაცის ანალიტიკური საგაზეთო პუბლიკაცია (თანაც არჩევნებში „მწვანეებისათვის" ხმის მიცემით გაწბილებული ამომრჩევლებისადმი მიმართული).

„მწვანეების" ზემოთ აღნიშნული ორი განცხადების და ბატონ ი. კობიძის წერილის გაცნობისთანავე დამებადა მთელი რიგი შეკითხვები საქართველოს პარლამენტის „მწვანეთა" ფრაქციის თავმჯდომარის, „მწვანეთა" პარტიის სპიკერის ზურაბ ჟვანიასადმი (შეკითხვების თანამიმდევრობა პირობითია, თუმცა შევეცადე დამეცვა ქრონოლოგიურობა ამ სამი საგაზეთო ინფორმაციის გამოქვეყნებისა და მათი შინაარსის შესაბამისად):

— ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ დღევანდელი, სხვადასხვა მიმართულების პოლიტიკოსებისათვის ეკოლოგიური თემატიკით სპეკულაცია საკმაოდ მიმზიდველი და მომგებიანია? თუ არ ეთანხმებით — რატომ?

— ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ „მწვანეთა" პარტიაში ძირითადად შეინიშნება: პოლიტიკური პროგრამის ბუნდოვანება, ტრაფარეტული ლოზუნგები, ექსტრემისტული იდეოლოგია (დავხუროთ, გავაუქმოთ, უნდობლობა გამოვუცხადოთ, გადავაყენოთ...), ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტისადმი ზერელე მიდგომა, გატარებული აქციების სარეკლამო ხასიათი, მირითადად მხოლოდ საკუთარ „მიჯზე" მუშაობა? თუ არ ეთანხმებით — რატომ?

— რა გააკეთეს კონკრეტულად „მწვანეებმა" საქართველოს ბუნების სასიკეთოდ? (გთხოვთ, პატივი დამდოთ და ქრონოლოგიის დაცვით მიუთითოთ პრაქტიკული სარგებლიანობის ხასიათის ღონისძიებები, რომლებმაც შედეგი გამოიღეს ჩვენი თვალწარმტაცი ბუნების, მისი ამა თუ იმ კუთხის დაცვა-გამშვენიერებისათვის).

— რა სახსრებით ხორციელდებოდა და რა სარგებლობა მოუტანა საქართველოს ბუნებას „მწვანეთა" მოძრაობის თუ პარტიის აქტივისტების საზღვარგარეთ ვიზიტებმა? (გთხოვთ, პატივი დამდოთ და აქაც ქრონოლოგიის დაცვით მიუთითოთ, თუ რაში წაადგა უშუალოდ საქართველოს ბუნებას აღნიშნული ვიზიტები);

— როდის ფიქრობთ შესრულოთ თქვენი დაპირება, არჩევნების წინ საქართველოს ტელევიზიით გამოსვლისას რომ განაცხადეთ: — არჩევნების დამთავრებისთანავე საჯაროდ გამოაქვეყნებდით თქვენს საფინანსო ანგარიშს? ხომ არ შეეცდებოდით ეს გარკვეული „გულმავიწყობა" გამოგესწორებინათ იმით, რომ დაგერთოთ მისთვის არჩევნების შემდგომი პერიოდის ფინანსური ანგარიშიც?

— რას უნდა მოხმარებოდა ქ. მოსკოვში გადარიცხული სესხი — 102 მილიარდი მანეთი? ნუთუ ისე გულუბრყვილო ბრძანდებით თქვენ ან ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, რომ რეალურად თვლიდით 102 მილიარდი მანეთის გადარიცხვას რუსეთის ცენტრალურ ბანკში? როდის, რა სახით და რა პროცენტით იქნა იგი დაბრუნებული?

— რას და როგორ მოხმარდა „მწვანეთა" მოძრაობასთან არსებული მრავალდარგოვანი ფირმა „ტრიალეთის" ანგარიშზე დატოვებული 700 მილიონი მანეთი? როდის, რა რაოდენობით, რა პროცენტით იქნა დაბრუნებული და რა მოგება მოუტანა (ან „შესაძლოა" მოეტანა) ამ თანხამ „მწვანეთა" მრავალდარგოვან ფირმას; ასე ვთქვათ, მისი „დატრიალების" შედეგად?

— რა დაკარგა მთელი ამ „ოპერაციის" ანუ „უდანარიცხო" სესხის (?!) აღება-დაბრუნების შედეგად რესპუბლიკის ბიუჯეტმა, მთლიანად ბიუჯეტის „კმაყოფაზე" დარჩენილმა ასობით ათასმა ამომრჩეველმა (პენსიონერები, სტუდენტები, ინვალიდები, ლტოლვილები, ობლები და ა. შ.)? (ისე როგორც „ბოროტი ენები" ლაპარაკობენ, საქართველოს ბიუჯეტმა ამ „წარმატებული" ოპერაციის შედეგ 2,5 მილიარდი მანეთი დაკარგაო).

— ხომ არ ჩათვლიდით საჭიროდ, დაგეხასიათებინათ „მწვანეთა" მოძრაობასთან შექმნილი სამეურნეო დანიშნულების ორგანიზაციები, მათი დაფინანსების წყაროების, საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის ასახვით?

— თუ საიდუმლო არ არის, იქნებ გააცნოთ ფართო საზოგადოებას — რა „დამსახურებისათვის" გადაეცა „მწვანეთა" პარტიას მუშტაიდის პარკის დირექციის შენობა? (გთხოვთ, აქვე განმარტოთ, თუ რატომ არ აიმაღლა ხმა „მწვანეთა" პარტიამ, როცა ქალაქის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ბუნების დაცვის რესპუბლიკური საზოგადოების პრეზიდიუმს ჩამოერთვა მისივე თანხით აშენებული შენობა ი. ჭავჭავაძის პროსპექტზე);

— შეგიძლიათ თუ არა რეალური ანალიზით, კონკრეტული ციფრებით (ზოგადი ლოზუნგების გარეშე) დაასაბუთოთ, რა სარგებლობა მოუტანა ხალხს, ბუნებას „მწვანეთა" ხმაურიანმა აქციებმა, რომლებიც მიმართული იყო სოფლის მეურნეობაში ქიმიური საშუალებების გამოყენების წინააღმდეგ?

— ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ბოლოს და ბოლოს მოვიდა დრო ერთხელ და სამუდამოდ დადგინდეს ის ეკონომიკური, სოციალური და, რაც მთავარია, ეკოლოგიური შედეგები, რომლებიც მოგვცა აქციებმა (რითაც „მწვანეები" დღესაც ამაყობენ) — „ხუდონჰესისა" და ტრანსკავკასიის ახალი მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობათა წინააღმდეგ? რა სარგებლობა მოუტანეს ამ აქციებმა საქართველოს ეკონომიკას, მის ბუნებას საერთოდ, და კონკრეტულად ამ ობიექტების მიმდებარე რაიონებში?

— როგორ მიაჩნია „მწვანეთა" პარტიას — დღევანდელ ვითარებაში რა უნდა კეთდებოდეს პირველ რიგში რესპუბლიკაში გარემოს დაცვის სფეროში, როგორი უნდა იყოს აქ პრიორიტეტები?

— როგორ გესახებათ მძლავრი, ორგანიზებული ეკონომიკის გარეშე ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა? (ბოდიშის მოხდით გთხოვდით, ლოზუნგებისაგან თავის შეკავებას);

— რატომ ჩათვალეთ პასკვილად, ანუ ცილისწამებად და შეურაცხყოფად ბატონ ი. კობიძის წერილი, გამოქვეყნებული „ივერია-ექსპრესში?" რა არის იქ ცილისმწამებლური? რითაა იგი შეურაცხმყოფელი?

— რა აქვს საერთო ბატონ ი. კობიძის წერილს „პარტიულ კინკლაობასთან"? ნუთუ მხოლოდ ის, რომ ავტორი, უბრალოდ, ერთ-ერთი სხვა პარტიის წევრია? და რაც მთავარია — ნუთუ ეს წერილი „სხვა არაფერია", თუ არა პარტიული კინკლაობა?

— ნუთუ „მწვანეთა" საპარლამენტო ფრაქციას მართლა მიაჩნია, რომ ი. კობიძის წერილში „ჭირად" მონათლულია გარემოს დაცვის საქმე, ან ეკოლოგიური მოძრაობა? (იქნებ კიდევ ერთხელ წაგეკითხათ წერილი);

— საინტერესოა, მაინც რით შეუშალა ხელი რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა გარემოს დაცვის სამინისტროს ისე, რომ, როგორც „მწვანეთა" საპარლამენტო ფრაქცია თვლის, ამ უწყების ფუნქციონირება ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა?

— ასევე საინტერესოა, რა გააკეთა კონკრეტულად (გარდა იმისა, რომ, თურმე, რვა თვეზე მეტი ხნის განმავლობაში „არ კარგავდა იმედს") გარემოს დაცვის დარგში აუცილებელი ღონისძიებების გატარებისთვის ამ რვა თვის განმავლობაში გარემოს დაცვის მინისტრმა შოთა ადამიამ?

— ნუთუ ის, რომ ბატონი შ. ადამია აპირებდა დიდი გამოცდილების მქონე, პროფესიონალი და ორგანიზატორული უნარით დაჯილდოებული მოადგილის შეცვლას თავისი ლაბორანტით (თურმე „მწვანეთა" აქტივისტით) და ამ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა (თანაც ერთხმად) მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმი, „სხვა არაფერია", თუ არა „მწვანეთა" წინააღმდეგ გალაშქრება?

— თუ „საიდუმლო" არ არის, გთხოვთ გვიპასუხოთ — არის ბატონი შ. ადამია „მწვანეთა" პარტიის წევრი (როგორც „მწვანეთა" საპარლამენტო ფრაქციის განცხადებაშია აღნიშნული) თუ არა (როგორც თავად განუცხადებია 14 ივლისს მინისტრთა კაბინეტის პრეზიდიუმის სხდომაზე)? ვინ „სცდება" — „მწვანეთა" საპარლამენტო ფრაქცია თუ ბატონი მინისტრი?

და ბოლოს: აკვიატებული აზრი რომ არ მიკიჟინონ, დაინტერესებულ პირებს ვაცნობებ, რომ საარჩევნო ბიულეტენში „მწვანეების" პარტიის გასწვრივ დავწერე ციფრი „3".

ნოდარ ბახვიანი,
ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ინფორმაცია-93

სოხუმი. 27 ივლისს ზესტაფონისა და თერჯოლის რაიონების ხელმძღვანელებმა ამ რაიონების მოსახლეობის მიერ გაღებული ჰუმანიტარული ტვირთი ჩამოიტანეს ქ. სოხუმში. ტვირთი შედგება საკვები პროდუქტებისაგან. იგი მიზნობრივად განაწილდა საჯარისო ქვედანაყოფებსა და ჰოსპიტლებს შორის. სტუმრებს შეხვედრა ჰქონდათ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან კაკო გახეიანთან.

თბილისი. 28. საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატებმა“ მიიღო განცხადება:

„აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ამ ფაქტმა გარკვეული ეჭვები გააჩინა ქართველ ახალგაზრდებში, რამეტუ მრავალ არაკეთილსინდისიერ პოლიტიკოსს ახალგაზრდობის გულწრფელი გრძნობების საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად გამოყენების სურვილი გაუჩინა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენ მიგვაჩნია, რომ სა[illegible] ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენელთა [illegible] სახელმწიფოს მეთაუ[illegible] განმარტოს ამ შე[illegible] ხელის მოწერის მიზეზები.“

თბილისი. 28 სურსათით მომარაგების სამთავრობო კომისიის [illegible] ბორჯომის რაიონის [illegible] აღნიშნა, რომ ბორჯომის რაიონის კურორტებზე [illegible] დამსვენებ[illegible] [illegible] რის გამოც [illegible] რაიონისთვის [illegible] ნორმის გაზრდა. კომისიამ რაიონისთვის დამატებით გამოყო [illegible]0 ტონა ხორბალი [illegible] ექსპერიმენტის სახით ბორჯომის გამგეობას ნება დართო ამ რაოდენობიდან 50 ტონის [illegible] პროდუქტები გაყიდოს თავისუფალ ფასებში.

[illegible]ლისი. 28. სურსათით მომარაგების სამთავრობო კომისიის [illegible] აღინიშნა, რომ ამ დღე[illegible] მარნეულიდან [illegible] 800 ტონა კარტოფილი, [illegible] ტონა — ბოლნისიდან, რისთვისაც საჭირო იქნება [illegible]ნსპორტის ორგანიზებული მუშაობა.

ვაჭრობის მინისტრმა მ. ზანკალიანმა აღნიშნა, რომ დაწესდება მკაცრი კონტროლი, რათა ვაჭრობის სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ სავაჭრო ქსელში 1 კილოგრამი კარტოფილი გაიყიდოს შეღავათიან ფასში — 750 კუპონად.

თბილისი. 28. 2 აგვისტოდან ქ. რუსთავში ექსპერიმენტის სახით ნორმირებულად განაწილდება პური, თითო სულ მოსახლეზე — 400 გრამი. ამასთან დაკავშირებით, სურსათით მომარაგების სამთავრობო კომისიამ პურპროდუქტების კორპორაციას მიეთითა უზრუნველყოს რუსთავის სტაბილურად მომარაგება.

თბილისი. 28. სურსათით მომარაგების სამთავრობო კომისიამ იმსჯელეს რკინიგზის ტრანსპორტის ფუნქციონირებისთვის საჭირო ღონისძიებებზე. აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში არსებული რთული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, სამგზავრო მატარებლებზე ბილეთების ფასი მგზავრთა გადაყვანისათვის დახარჯულ ხარჯებზე ბევრად ნაკლებია. მიუხედავად ამისა, ხშირია უბილეთო მგზავრობა. ღონისძიებების გატარების შემდეგ ბილეთის შემოწმება გამკაცრდება.

ბათუმი. 28. დღეს ბათუმის პორტში იცლება პურის ფქვილით დატვირთული სამი უცხოური ხომალდი. პირველ გემში მოთავსებულია 2.651 ტონა პურის ფქვილი. მეორეში ამერიკიდან გამოგზავნილი 24.000 ტონა ხორბალი, მესამე გემი დატვირთულია 47.657 ტონა ხორბლით, რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკისთვის არის განკუთვნილი.

სამშობლოს ერთგულების ფიცს დებენ

საქართველოს სასაზღვრო ჯარების მთავარი სამმართველოს სასწავლო ცენტრის მთელ პლაცზე მხედრული ფიცის სიტყვები გაისმის. მას დებენ ოფიცერთა კურსების კურსდამთავრებულები, რომლებიც აქ, საზეიმო მწყობრში, იღებენ ოფიცრის დიპლომებსა და პირადობის მოწმობებს. ახლა, როცა უმძიმესი გამოცდების დროს იბადება ჩვენი სუვერენული სახელმწიფო, მას განსაკუთრებით სჭირდება პროფესიონალი მესაზღვრეები, რომლებიც მზად არიან საიმედოდ დაიცვან სამშობლოს საზღვრები. ახალგაზრდა ოფიცრებმა გაიარეს სპეციალური საბრძოლო წვრთნა, შეისწავლეს საზღვარზე მოქმედების ტაქტიკა. ახლა ისინი იგზავნებიან საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, სადაც შეძენილ გამოცდილებასა და ცოდნას ჯარისკაცებს გადასცემენ.

კურსებზე თავი გამოიჩინეს ლეიტენანტებმა შ. ფერაძემ, ო. გურგენიძემ, ე. მგალობლიშვილმა, სხვა მეომრებმა.

ფიცი ახალ ოფიცრებთან ერთად მიიღეს ახალწვეულებმაც, რომლებიც მალე შეუერთდებიან საქართველოს რესპუბლიკის სასაზღვრო ძალებს.

საზეიმო ცერემონიაში მონაწილეობდნენ სასაზღვრო ჯარების მთავარი სამმართველოს შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ჯ. ქუთათელაძე, პოლკოვნიკები გ. კობრეიძე, ო. ქავთარაძე, შ. ბუნდაძე, სხვა ოფიცერ-დამრიგებლები.

ფიცის მიღების ცერემონია დამთავრდა საზეიმო მარშით.

მანანა აბაზაძე,

საქართველოს სასაზღვრო ჯარების პრესცენტრი.

სურათებზე: ფიცს იღებენ საქართველოს სასაზღვრო ჯარების ახალი ოფიცრები.

ვლადიმერ ვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

KARATE
I.K.G.A.

კარატე: არის პირველი აღიარება!

ახლახან თბილისში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ აღმოსავლური ორთაბრძოლების გოჯუ-კაი კარატე-დოს ევროპის მთავარი კონსულტანტი, სპორტის ამ სახეობის სტილში მეხუთე დანის მფლობელი ბატონი პეტერ პასისი და მისი თანაშემწე და ვაჟი მეორე დანის მფლობელი მიხეილ პასისი.

— მათი სტუმრობის მთავარი მიზანი იყო საკუთარი თვალით ენახათ ჩვენი სპორტსმენების მომზადების დონე და შესაბამისი გადაწყვეტილებით ეხელმძღვანელათ ჩვენი ფედერაციის გოჯუ-კაი კარატე-დოს მსოფლიო ასოციაციაში გაწევრიანების საკითხში, — გვითხრა ფედერაციის პრეზიდენტმა ოთარ გრძელიშვილმა, — სტუმრები, რომლებიც ჩვენი უშუალო მოწვევით ჩამოვიდნენ, ორი კვირის განმავლობაში, ვერის ბაღში, კალათბურთის სასახლის არენაზე ქართველი კარატისტებისათვის ექვსსაათიან სემინარებს მართავდნენ. მათ თავიანთი ვიზიტის დასკვნით ეტაპზე აქვე მოაწყვეს გამოცდა, რომელიც კარგად ჩააბარეს ჩვენმა სპორტსმენებმა — ოთხი ქართველი გახდა გოჯუ-კაი კარატე-დოში ოსტატობის პირველი საფეხურის — შავი ქამრის მფლობელი.

მსოფლიო ასოციაციაში გაწევრიანებაზე ბ-ნმა პეტერ პასისმა დაგვაიმედა და თავის მხრივ გამოთქვა სურვილი, რომ იგი ჩვენს ფედერაციას რეკომენდაციას გაუწევს ამ ინსტანციაში, რათა ეს საკითხი დადებითად გადაწყვიტონ, ხოლო ამის მხრივ პირველი ნაბიჯი მან ჯერ კიდევ თბილისში ყოფნისას გადადგა, როცა ბ-ნმა პასისმა გადმოგვცა მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლების ბარათი. ჩემპიონატს წელს, ნოემბერში უმასპინძლებს იაპონიის დედაქალაქი ტოკიო.

სტუმრები ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის გარდა, აგრეთვე გაეცნენ ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს.

INTERNATIONAL KARATE-DO

ბოლოს პრეზიდენტმა დასძინა: ჩვენი ქვეყნისთვის ამ მძიმე ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ვითარებაში, თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა დიდი მადლობა გადავუხადო სპონსორებს: საქართველოს დემოკრატიისა და აღორძინების ფონდს (თავმჯდომარე სოლიკო ხაბეიშვილი), სადაზღვევო კომპანია „სკო“-ს (პრეზიდენტი თამაზ ფირცხალავა), თბილთამბაქოს (დირექტორი ელგუჯა ბებუთეიშვილი), ფირმა „ნუციკო“-ს (პრეზიდენტი თემურ სამთელაძე), დეტექტიური ფირმა „მრე“-ს (პრეზიდენტი ნოდარ ლაბარტყავა) და ავიაკომპანია „ორბი“-ს (გენერალური დირექტორი ვასო ქამბახიშვილი, მოადგილე — ნუგზარ მამალაძე). სწორედ მათი უშუალო ჩარევით მოხერხდა სტუმრების ჩამოსვლა და მათი მაღალ დონეზე მიღების როგორც მატერიალური, ისე ორგანიზაციული საკითხების დადებითად გადაჭრა.

ზაზა ყურაშვილი.

ახალი წიგნები

არა მარტო ტექნიკური ინტელექტუალებისათვის

ახლახან წიგნის ბაზარზე გამოვიდა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ თამაზ ბოხუას წიგნი — „მოთხრობები მექანიკაზე“, ასეთი შინაარსის წიგნებით ქართველი მკითხველი მაინცდამაინც განებივრებული არ არის. ქართულ ენაზე სულ რამდენიმე გამოცემა არსებობს და ისიც — ბროშურის სახით.

თამაზ ბოხუას წიგნში საინტერესოდ არის მიმოხილული მექანიკის, როგორც ფიზიკის ერთ-ერთი უძველესი და ამავე დროს მუდამ თანამედროვე დარგის განვითარების ზოგიერთი ეტაპი. წინა პლანზეა წამოწეული იმ მეცნიერთა შემოქმედებითი ბიოგრაფია, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს მექანიკის დაფუძნებასა და განვითარებაში.

მოთხრობები მექანიკაზე

წიგნი დაწერილია მაღალ პროფესიულ დონეზე, სამეცნიერო პოპულარული ენით, სამეცნიერო საკითხებზე თხრობას ხშირად ენაცვლება ლიტერატურულ-მხატვრული ლირიკული გადახვევები. სწორედ ამის წყალობით, წიგნი საინტერესო და გასაგებია არა მარტო ტექნიკური დარგის ინტელექტუალებისათვის, არამედ ფართო მკითხველისთვისაც, თუმცა მასში მექანიკის ურთულესი საკითხებია განხილული.

წიგნი დაწერილია სტუდენტი ახალგაზრდობისთვის, მაგრამ, ვფიქრობთ, იგი დააინტერესებს ყველას, ვისაც სურს გაეცნოს ჩვენი სამყაროს უზოგადეს კანონებსა და იმ ადამიანებს, რომლებმაც პირველებმა შეიცნეს ეს კანონები.

კარლო თაბუკაშვილი,

საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკური უნივერსიტეტის თეორიული მექანიკის კათედრის პროფესორი.

ხსოვნა

სილოვან კაკაბაძე

ქართველ ხელოვანთა რიგებს გამოაკლდა უხუცესი მოქანდაკე, საქართველოს სახალხო მხატვარი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი სილოვან კაკაბაძე.

ბატონი სილოვანი 1893 წელს დაიბადა და თითქმის ოთხმოცი წელი საყვარელ საქმეს ემსახურა. მან 1924 წელს მოსე თოიძის სტუდია დაამთავრა, ხოლო 1930 წელს თბილისის სამხატვრო აკადემია. იგი ფერწერის სპეციალობას ეუფლებოდა ე. ლანსერეს კლასში, მაგრამ მალე იაკობ ნიკოლაძის ყურადღება მიიქცია მცირე ზომის ქანდაკებებით და მაესტროს რჩევით ქანდაკების ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა.

1932 წელს ს. კაკაბაძე ქანდაკების კათედრაზე მიიწვიეს ასისტენტად, ხოლო 1936 წელს უკვე აკადემიას ჩაუდგა სათავეში როგორც რექტორი.

1953-1963 წლებში ს. კაკაბაძე ქანდაკების კათედრას ხელმძღვანელობდა.

დიდია სილოვან კაკაბაძის დამსახურება ქართული პროფესიული საქანდაკო სკოლის ჩამოყალიბებაში. იგი ფაქტობრივად ეროვნული მონუმენტური ქანდაკების ერთ-ერთი ფუძემდებელია. მან მოქანდაკეთა არა ერთი თაობა აღზარდა როგორც პედაგოგმა, სახელმძღვანელოების ავტორმა, ახალგაზრდა თაობაზე მზრუნველმა ოსტატმა.

სილოვან კაკაბაძეს 200-ზე მეტი ნამუშევარი აქვს შესრულებული, მათ შორის ქართული კულტურის ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლების პორტრეტები, როგორიცაა სულხან საბა ორბელიანი, დავით კლდიაშვილი, ალექსანდრე მრევლიშვილი, ივანე ბერიტაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, დავით გამრეკელი... ამ პორტრეტებში ს. კაკაბაძე ფიზიკური მსგავსების გადმოცემასთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობდა განზოგადებულ ფსიქოლოგიურ სახეს.

ს. კაკაბაძის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი იყო უპირველეს ყოვლისა ზომიერების გრძნობა, გულწრფელობა და მაღალი პროფესიონალიზმი.

ბატონი სილოვანის სახელი მუდამ დარჩება მისი შეგირდების, მეგობრების, თანამშრომლების გულში, მათ გულში, ვისაც ქართული სახვითი ხელოვნება უყვარს.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია.

ანვარ ჯუმბათოვი

აფხაზეთში იარაღით ხელში საქართველოს მთლიანობას იცავენ აზერბაიჯანლებიც. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ომის პირველი დღეებიდანვე აფხაზეთში მებრძოლი, ქალაქ რუსთავის მკვიდრი 41 წლის **ანვარ ჯუმბათოვი**, რომელიც გმირულად დაიღუპა ეშერის მიდამოებში ბრძოლების დროს. მას დარჩა შვილები და ოჯახი. უნდა აღინიშნოს, რომ იგი როცა უკანასკნელად ბრძოლაში გავიდა, ადრე მიღებული ჭრილობები ჯერ კიდევ მოშუშებული არ ჰქონდა.

თანამებრძოლები და ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებენ ანვარ ჯუმბათოვის ხსოვნას. მარადიულია მის ნათელ სახელს!

საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების ასოციაცია „დაიაგი“.

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ვლადიმერ აბულაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ორგანიზებული დამნაშავეობა და კორუფცია:

ქვეყანა დიდი განსაცდელის წინაშეა

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებული დამნაშავეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა წლეულს, 6 თვეში, უვნებელყვეს 22 ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, ამოიღეს 21 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 5 ყუმბარმტყორცნი, 8 რადიოსადგური, 9 პისტოლეტი, 8 ღამის ხედვის ხელსაწყო, 14 გატაცებული ავტომანქანა, 182 გრამი ნარკოტიკული ნივთიერებები, 700 ათასი მანეთი ფული, გახსნეს 4 მკვლელობა, იპოვეს და დააკავეს 7 ძებნილი...

• • •

ორგანიზებული დამნაშავეობა და კორუფცია არა მარტო საქართველოს, არამედ მთელ მსოფლიოს უქმნის საფრთხეს. მისმა ისეთმა სახეობებმა, როგორიც არის კონტრაბანდა, ყალბი ფულის დამზადება, უკანონო შემოსავლების ლეგალიზება, ნარკოტიკებით, იარაღითა და გატაცებული ავტომანქანებით ვაჭრობა — უკვე დიდიხანია გადალახეს სახელმწიფოს საზღვრები და ტრანსნაციონალური ხასიათი შეიძინა. ჩვენი სამმართველოს ფორმირება და მისი ეფექტიანი მუშაობა არა მარტო საქართველოსათვის, არამედ სხვა ქვეყნებისთვის გაწეული სამსახურიც იქნება, რადგან საქართველო თავისი გეო-პოლიტიკური მდგომარეობით, მშვენიერი ნიადაგია საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის გავრცელებისათვის. ამის ნიშნები უკვე არის, რომლის წინააღმდეგ დღესვე უნდა გაჩაღდეს ბრძოლა, — ამბობს ორგანიზებული დამნაშავეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი **თემურ ჯიშკარიანი**. **(ის 34 წლისაა, მილიციის ოპერატიულ სამუშაოზეა 1987 წლიდან. იყო რუსთავის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი).**

სამმართველო დღევანდელი სახით წელს, 15 იანვარს ჩამოყალიბდა. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში გაჩნდა კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის ახალი ფორმები, გაიზარდა დამნაშავეთა პროფესიონალობა და ორგანიზებული დამნაშავეობის მასშტაბი, გავრცელებული ხასიათი მიიღო ძალადობამ, ტერორმა, ნარკობიზნესმა და კორუმპირებულ თანამდებობის პირებთან დანაშაულებრივი ჯგუფების შეკავშირებამ. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭომ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ბაზაზე შექმნა სწრაფი რეაგირების ოპერატიული დანაყოფებით გაძლიერებული საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებული დამნაშავეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო. მაშინ, როცა გვაქვს სხვადასხვა ოპერატიული სამსახურები, ამ სამმართველოს შექმნა რაღა საჭირო იყო? — იწყინა ზოგიერთმა; ვიღაც-ვიღაცები ამით საკუთარ ამბიციებს იკმაყოფილებენ, არ ცხრებოდნენ კულისებშიც.

• • •

1 მაისს სამმართველოს თანამშრომლებმა უვნებელყვეს მ. ჩიკვილაძის, გ. ლორთქიფანიძის, ზ. მესხისა და გ. ზანზაშვილისაგან შემდგარი ორგანიზებული, ყაჩაღური ჯგუფი, რომელიც მოქალაქე ნ. მელაძისაგან 15 ათასი ამერიკული დოლარის გამოძალვის ოპერაციას ახორციელებდა. 29 იანვარს კი ამხილეს და დააკავეს თბილისელები ა. კიკნაძე და დ. იმერლიშვილი. მათ ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღით და მუქარებით მოქალაქე გ. ბერულავას 200 ათასი მანეთი გამოსძალეს. ამოღებულია „აკ“-ის სისტემის ავტომატური იარაღი.

მსოფლიო საფრთხეშია

ცნობილია, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობა ერთობ შეშფოთებულია ორგანიზებული დამნაშავეობისა და კორუფციის დღითიდღე მზარდი მასშტაბებით. ამის დასტურია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1991 წლის 14 იანვრის რეზოლუცია, რომელშიც ჩაწერილია: „ორგანიზებული დამნაშავეობა სულ უფრო და უფრო იძენს ტრანსნაციონალურ ხასიათს... რომელიც, საბოლოო ანგარიშით, აფერხებს განვითარებას, აუარესებს ცხოვრების დონეს, საფრთხეს უქმნის ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს“.

ახლახან ვწერდი, რომ რომში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია — „ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის ევროპული მასშტაბები“, რომელზეც ევროგაერთიანების შვიდმა ქვეყანამ უბოდიშოდ მიუთითა იტალიას მის ტერიტორიაზე არსებული უაღრესად რთული კრიმინოგენური სიტუაციისა და მაფიათა თარეშის გამო, რაც, თავის მხრივ, მეტად უარყოფით გავლენას ახდენს მთელი ევროპის ოპერატიულ ვითარებაზე. ეს ძირს უთხრის ევროპის ქვეყნების ეკონომიკის სტაბილურობასაც, რადგან დანაშაულებრივი გზებით ნაშოვნი ფულის გაკეთილშობილება-გაცოცხლება ხშირად სახელმწიფო სტრუქტურებში ხდება. ასე რომ, თუკი ჩვენი მოსახლეობა გვაპატიებს პასიურობასა და უპასუხისმგებლობას ორგანიზებული ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაში, ევროპა (მსოფლიო) მაინც არ გვაპატიებს. იგივე რეზოლუციით, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მოუწოდა თავის წევრ ქვეყნებს, რომ დროულად გააფრთხილონ ერთმანეთი საშიშროების მოახლოების შესახებ, ცივილიზებულად ითანამშრომლონ ერთმანეთთან და შეთანხმებულად ებრძოლონ ორგანიზებულ დამნაშავეობას, როგორც საკუთარ ტერიტორიაზე, ისე საერთაშორისო მასშტაბით.

• • •

ყაჩაღთა მოზრდილმა ჯგუფმა (ვ. შარმადინი, ნ. გოგრიჭიანი, მ. ბალახაძე, შ. მირაშვილი და დ. ჯანაშია) გაიტაცა რუსთავის ექსპერიმენტულ-სარემონტო ქარხნის კუთვნილი „ჟიგული“. ბოროტმოქმედნი მხილებული და დაკავებული არიან. გამოძიების პროცესში ამოღებულია „აკ“-ის სისტემის ავტომატური იარაღი, პისტოლეტი „ვალტერი“, ერთი შაშხანა, 11 ხელყუმბარა „ფ-1“ და ტყვია-წამალი.

მცირე წინაისტორია

გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციას ყოფილი საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვში, სხვათა შორის, დროულად გამოეხმაურნენ. სულ ორი კვირა გავიდა და უკვე 4 თებერვალს პრესაში გამოქვეყნდა იმდროინდელი პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის ხელმოწერილი დადგენილება — „განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა წინააღმდეგ და მათ ორგანიზებულ ფორმებთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ“. იმხანად ჯერ კიდევ ცოცხლობდა „კომუნისტური სულისკვეთება“, ასე რომ, პრეზიდენტის დადგენილების ცხოვრებაში განხორციელება უმოკლეს დროში დაიწყო. — სული თუ უსწრებდათ?

ერთად უნდა ვებრძოლოთ

შეიქმნა ახალი სამსახური, რომელსაც სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს „განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობებთან, ორგანიზებულ დამნაშავეობასთან, კორუფციასა და ნარკობიზნესთან“ ბრძოლის მთავარი სამმართველო ეწოდა. სამმართველოს უფროსი, რომელსაც თავად პრეზიდენტი ნიშნავდა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მილიციის პოლკოვნიკი ა. გუროვი გახდა.

...სამმართველოს ყოფილი უფროსი, ამჟამად კი, უფროსის პირველი მოადგილე, პოლიციის პოლკოვნიკი **ნოდარ წარიალაშვილი (დაიბადა 1949 წელს. მილიციის ოპერატიულ სამსახურშია 1971 წლიდან. სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისისა და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე):**

— თავდაპირველად, სსრკ მასშტაბით, რეგიონალური სამმართველოების შექმნა იყო ჩაფიქრებული. მათ შორის, უნდა ჩამოყალიბებულიყო კავკასიის რეგიონალური სამმართველო, რომლის რეზიდენცია ქალაქ დონის როსტოვში იქნებოდა. ჩავედით მოსკოვში. რეგიონალურ პრინციპს არც ერთმა რესპუბლიკამ არ დაუჭირა მხარი. მაშინ საქართველოს წარმომადგენლობამ ალტერნატიული წინადადება შევთავაზეთ, რომელიც უკლებლივ ყველა რესპუბლიკაში დამოუკიდებელი სამმართველოების შექმნას ითვალისწინებდა. მხარი აგვიბეს და საკავშირო შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, შეიქმნა რესპუბლიკური სარეგიონთაშორისო სამმართველოები. ასე ჩამოყალიბდა ჩვენი სამსახური, რომელსაც ფინანსურად, ტექნიკურად და მატერიალურად მოსკოვი უზრუნველყოფდა მთლიანად. მაშინ შემოვიყვანეთ სწორედ 24 ავტომანქანა და დღესაც მათით გვიდგას სული, შემოვიტანეთ აგრეთვე 2,5-3 მილიონი მანეთი, ოპერატიული ტექნიკა და მსუბუქი საბრძოლო იარაღი. თანამშრომლებს ხელფასსაც 1991 წლის დეკემბრამდე მოსკოვიდან გადმორიცხული თანხიდან ვაძლევდით.

• • •

მართლმსაჯულების წინაშე წარსდგებიან მაცი გიორგაძის გამტაცებლები: ისინი ყმაწვილის მშობლებს 150 ათას დოლარს სძალავდნენ. ესეც ამ სამმართველოს აქტივშია.

• • •

უვნებელყოფილია ორგანიზებული ყაჩაღური ჯგუფი, რომლის წევრებმაც გაიტაცეს რა მოქალაქე გია გოქსაძე, მის ახლობლებს 100 ათას დოლარს სძალავდნენ.

„ჩვენები“ უცხოეთში

საქართველოს პოლიცია ჯერ არ არის ინტერპოლის წევრი. მიუხედავად ამისა, ინტერპოლის რუსეთის ნაციონალური ბიუროს მეშვეობით მაინც ხერხდება ურთიერთობა მასთან. წელს, 6 თვეში, სამმართველოს თანამშრომლების მიერ შესრულებულია ინტერპოლის რუსეთის ნაციონალური ბიუროს 87 შეტყობინება-დავალება, დადგენილი და შესწავლილია უცხოეთში დანაშაულში მხილებული საქართველოს რესპუბლიკის 210 მოქალაქე. შეტყობინებები მოდის იტალიიდან, შვეიცარიიდან, ისრაელიდან, ჩინეთიდან, გერმანიიდან, საბერძნეთიდან, ძირითადად კი, თურქეთიდან, — ამბობს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი ინსპექტორი პოლიციის მაიორი სპირიდონ შეყლაშვილი, — „ჩვენების“ დანაშაულობებს ძირითადად ფერადი ლითონების, იარაღის, ნარკოტიკების, სიგარეტების, მექანიკური და ელექტრომოწყობილობების კონტრაბანდა, პროსტიტუცია და ქურდობა წარმოადგენს. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ კაცი, რომელიც ერთხელ უკვე გავიდა უცხოეთში და დანაშაული ჩაიდინა, მისი მეორედ გასვლა უნდა შეიზღუდოს. ეს ელემენტარული მოთხოვნაა და უნდა სრულდებოდეს.

სპეცასეული

— **სწრაფი** რეაგირების ასეულში ძირითადად ძველი სპორტსმენები (სსრკ და ევროპის ჩემპიონების ჩათვლით), „ავღანელები“, ფრონტზე ნაომარი ბიჭები, თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომლები არიან თავმოყრილი, ისინი ყოველდღე გადიან წვრთნას. მართალია, შეიარაღებით ვერ დავიკვეხნით, ვერც პროფესიული და მატერიალური დონით მოვიწონებთ თავს, მაგრამ იმედია ახლო მომავალში ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება და ჩვენი სპეცასეული ღირსეულად შეასრულებს თავის მოვალეობას, — მითხრა სამმართველოს უფროსის მოადგილემ პოლიციის მაიორმა **გია ბერძენიძემ (დაიბადა 1961 წელს. ოპერატიულ სამსახურშია 1990 წლიდან).**

სპეცასეულის 80-კაციანი რაზმი ამჟამად აფხაზეთში წინა ხაზზე იბრძვის.

— ზოგიერთი გსაყვედურობთ, რომ ახალ სამსახურში ბევრი უღირსი მოხვდა. ასეა? — ვკითხე თემურ ჯიშკარიანს. — რატომ ბევრი? ალბათ, ზოგიერთი. დრო არ ითმენდა. ვჩქარობდით და ამ სიჩქარით მართლაც შემოგვეპარა ზოგიერთი უღირსი. ახლა მიმდინარეობს წმენდა. პოლიციის დისკრედიტაციისა და პოლიციელისათვის შეუფერებელი საქციელისათვის ოთხი კაცი სულ ახლახან დავითხოვეთ ორგანოდან, კიდევ ორი, რომლებიც ადრე ნარკოტიკების მიღებაში იყვნენ შემჩნეული, ასევე დათხოვნილი არიან. ეს პროცესი მანამდე გაგრძელდება, სანამ მთლიანად არ განვთავისუფლდებით შემთხვევითი თანამშრომლებისაგან, რადგან ორგანიზებული დამნაშავეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას პროფესიონალები სჭირდება, უპატიოსნო, ღალატიანი კაცი კი პროფესიონალი ვერ იქნება. ვცდილობთ მოვიზიდოთ საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის და პროკურატურის გამოცდილი თანამშრომლები. ზოგიერთი უკვე მუშაობს ჩვენთან და, ვფიქრობ, საკმაოდ კარგადაც...

სამმართველოს ცენტრალურ აპარატში ამჟამად 158 კაცი მუშაობს, რეგიონალურ განყოფილებებში კი — აფხაზეთი, აჭარა, სამეგრელო (ზუგდიდი) იმერეთი (ქუთაისი), სამცხე-ჯავახეთი (ახალციხე), შიდა ქართლი (გორი), თბილისი, ქვემო ქართლი (მარნეული) — 119, წლეულს, ოფიცრის თანამდებობაზე მიღებულია სულ 43 კაცი, რომელთაგან უმაღლესი განათლებითაა — 22, დაუმთავრებელი უმაღლესი განათლებით — 15.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ძნელია ეჭვის შეტანა ამ სამსახურის აუცილებლობაში, რადგან საეჭვო აღარ არის ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის მასშტაბები.

• • •

ორგანიზებული დამნაშავეობა პურის ქარხნებსა და საწყობებშიც შეიჭრა. გორში და თბილისში გამოვლინდა პურის ფქვილის ზედმეტ ფასებში გაყიდვათა და სხვადასხვა უფაქტურო ოპერაციებთან დაკავშირებული დანაშაულობები.

• • •

შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სამსახური, რომელიც ჩამოყალიბების პროცესშია, ნელ-ნელა მიეჩვევა თავისი პირდაპირი მოვალეობების შესრულებას და გლობალურ პრობლემებს შეეჭიდება. სამომავლოდ დიდი ძალა უნდა გახდეს სწრაფი რეაგირების ასეულიც. მისი სრულყოფა და ყველა აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებით აღჭურვა დიდ ტერიტორიებზე მასშტაბური ოპერაციების ოპერატიულად განხორციელების გარანტია იქნება.

ორგანიზებული დამნაშავეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობაზე ილაპარაკა ამას წინათ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ. ამის გარეშე დაღუპვა გველის, თქვა მან. ახლა მზადდება კანონპროექტი „კორუფციის შესახებ“, რომელმაც გარკვეულად უნდა დააჩქაროს და გააადვილოს ეს ბრძოლა.

სანამ „სიცილიური ოჯახებით“ არ აივსო ქვეყანა, მივხედოთ საქმეს!

ზაურ მაკარაძე.

საქართველოს
იურიდიულ დეტექტიური
ასოციაცია გთავაზობთ:

1. ნებისმიერი სახის დეტექტიურ საქმიანობას;
2. იურიდიულ კონსულტაციას;
3. ადვოკატურასთან ურთიერთთანამშრომლობას;
4. მგზავრების გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის უსაფრთხოებას;
5. პიროვნების დაცვას (პირადი დაცვა);
6. შენობა-ნაგებობისა და პირადი ქონების დაცვას;
7. სატვირთო ავტომანქანებით მომსახურებას.

საქართველოს იურიდიულ დეტექტიური ასოციაცია ამ საქმის სპეციალისტებს, ყოფილ სპორტსმენებს (ძირითადად მოჭიდავეებს, მოკრივეებს, კარატისტებს) იწვევს ურთიერთთანამშრომლობისათვის.

ასოციაციის საპატიო წევრი და მთავარი კონსულტანტია ბატონი რომან გვენცაძე.

ჩვენი მისამართია: ქ.თბილისი მ.თამარაშვილის ქ. № 13 სახელმწიფო იპოდრომი. მიაკითხეთ დირექციას. ტელ.39-10-52 9-დან 17 საათამდე, ტელ. 31-81-48 საღამოს.

თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი
აცხადებს მიღებას დღისა და
საღამოს სწავლების შემდეგ
სპეციალობებზე:

1. სამართლისმცოდნეობა
2. ხელოვნებათმცოდნეობა
3. ჟურნალისტიკა
4. უცხო ენები
5. ქართული ენა და ლიტერატურა
6. ისტორია
7. სამუზეუმო საქმე და ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვა.

საბუთების მიღება გრძელდება 20 აგვისტომდე, ყოველდღე, გარდა კვირისა, 11 საათიდან 5 საათამდე.

მისამართი: მოსკოვის პროსპექტი № 19, 41-ე პროფტექნიკური სასწავლებლის შენობა (მეტრო „სამგორიდან“ მეორე გაჩერება).

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშტარიას 23.
ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
4

შეკვეთა [illegible]